# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№166 (9997) 2025 წლის 17 დეკემბერი, ოთხშაბათი


## „დღეს თუ რუსეთს არ დაელაპარაკები, შესაძლოა, მერე უკვე ძალიან გვიან იყოს“

შალვა პაპუაშვილი:

**საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის ნორმალიზების წინაპირობაა რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარება** 5



იხ. 5 გვ.

გასაგებია, რომ დასავლეთისკენ გვაქვს კურსი აღებული, მაგრამ რატომ უშლის ეს ერთმანეთს ხელს იმაში, რომ რუსეთთან ურთიერთობა დალაგდეს?

ლაშა ნადარეიშვილი



3

## ვაი, დედა, ეს რა ვნახე!

ამის მერე ისტორია
გინდ — აქე და
გინდა – ძრახე,
მიწა მიაქვს სხვისტომიანს,
დაეკარგა ფერი ძახველს...

...ღრუბლებიდან
ქართლის ზედად
გვიმზერს ციხე მოდინახე,
მეყო დედა, მეყო დედა,
რაც რომ შავი წლები ვნახე!

## ორსახოვნება იანუსისა...

ზაზა შათირიშვილი:

**კონკრეტულ დინასტიებს არ უნდა მივცეთ საშუალება, საკუთარი ხელით დაგვანგრევინონ სამშობლო!..**

იხ. 4 გვ.




## „ოცნება“ კანონებს ამკაცრებს, ოპოზიცია ჩიხში შედის! 3



2

ირაკლი ყიფიანი:

## კულტურული რენესანსი „მონობაში“ და შემოქმედებითი კოლაფსი „თავისუფლებაში“

ჰარაფერი, სიმართლის გარდა!

## საერთაშორისო აღიარება




ფაქიზო ფანჩულიძე — ქართველი პედაგოგი, გლობალური დირექტორის ჯილდოს მფლობელი 7



## 17 დეკემბერი ბარბარობაა, გილოცავთ!

საქართველოს რესპუბლიკა
არაფერი, სიმართლის გარდა!
№166. ოთხშაბათი, 17 დეკემბერი, 2025 წელი


ისინი იყვნენ ერის ინტელექტუალური სუვერენიტეტის გარანტები


მათ თასების მფლობელთა თასის აღმასვლით სულიერი საქართველოს დროშა აღმართეს!

# კულტურული რენესანსი „მონობაში“ და შემოქმედებითი კოლაფსი „თავისუფლებაში“

**ინტელექტუალური და მორალური პანიკა, რომელიც ჩემს ესეს („კულტურული რენესანსი „მონობაში“...“) მოჰყვა, სრულად მოსალოდნელი იყო. მეტიც, ის იყო ჩემი დიაგნოზის უტყუარი დადასტურება.**

როდესაც ერის ეგზისტენციალურ პარადოქსს ეხები, როდესაც სარკეს მიმართავ სახეზე, რომელიც საკუთარ თავს ვეღარ ცნობს, რეაქცია ორი სახისაა: ერთი – მოაზროვნე, კეთილსინდისიერი ოპონენტის მცდელობა, გაიგოს და შეგედავოს არსობრივად; და მეორე – შეშინებული, იდეოლოგიური სტერეოტიპებით გაჯერებული ცნობიერების ისტერიკა.

სწორედ ამ მეორე რეაქციამ დაადასტურა ჩემი მთავარი თეზისი:

**ჩვენი თანამედროვე „თავისუფლება“ იმდენად სტერილური, იმდენად კრეატიულად იმპოტენტური და სულიერად ცარიელია, რომ მას საკუთარ თავზე სიმართლის მოსმენის პანიკურად ეშინია. კრიტიკოსთა უმრავლესობამ, რომელთაც ჩემი თეზისი „მონობის ქებად“ და „ნოსტალგიად“ მონათლეს, უბრალოდ ამხილეს საკუთარი ინტელექტუალური სიღატაკე.**

ეს არ გახლავთ პასუხი მათზე – ფუჭია პოლემიკა მათთან, ვისი არგუმენტიც დოგმაა. ეს არის ჩემი თეზისის გაშლა ბევრად უფრო ღრმა, მეტაფიზიკურ დონეზე, არამედ იმ სულიერი კოლაფსის უტყუარი დიაგნოსტირებაა, რომელსაც ჩვენი ოპონენტები „პროგრესად“ და „თავისუფლებად“ ასაღებენ.

ჩემს მოკრძალებულ პუბლიცისტურ ეტიუდს, **„კულტურული რენესანსი „მონობაში“...“**, სადაც ვცდილობდი, დიალექტიკურ ჭრილში დამენახა საბჭოთა პერიოდის კულტურული ფენომენებისა და თანამედროვე შემოქმედებითი კოლაფსის ანტინომია, **SHALVA RAMISHVILI**-ს ზუსტი კომენტარი მოჰყვა: **სპორტზე არ უსაუბრია. ქალთა ჭადრაკზე მაგალითად.“**

რატომ არის სპორტი და კონკრეტულად ჭადრაკი, ამ კონტექსტში ასეთი ფასდაუდებელი მარკერი? იმიტომ, რომ სპორტი, ისევე როგორც ხელოვნება, არის შემოქმედების აქტი. ის არის ადამიანში ჩადებული ღვთაებრივი ხატის, შექმნის, ბრძოლისა და იდეისთვის თავგან-

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „სრ“ N165


ძიუდოისტთა და მოჭიდავეთა პლეადა, რომლებიც მსოფლიოს არენებს იპყრობენ.

წირვის დრამატული გამოხატულება. და სწორედ ამ არენაზე იკვეთება ყველაზე მძაფრად ჩვენი წარსული ტრიუმფისა და აწმყო სტერილურობის ტრაგიკული დიალექტიკა.

როდესაც ერის პოლიტიკური თვითგამოხატვა შეზღუდულია და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი მკაცრ იდეოლოგიურ ჩარჩოებშია მოქცეული, ეროვნული სული ალტერნატიულ სივრცეებს ეძებს თვითდამკვიდრებისთვის. საბჭოთა პერიოდში ასეთ მეტაფიზიკურ არენად იქცა კულტურა და... სპორტი.

შალვა რამიშვილის მიერ ნახსენები “ქართული ჭადრაკის ფენომენი“ ამის უბადლო მაგალითია.

**ნონა გაფრინდაშვილი და მაია ჩიბურდანიძე არ იყვნენ უბრალოდ სპორტსმენები. ისინი იყვნენ ერის ინტელექტუალური სუვერენიტეტის გარანტები. 64-უჯრიან დაფაზე მიღწეული ეს გამარჯვებები იყო სუფთა, რაფინირებული ინტელექტის ტრიუმფი იმ სისტემაზე, რომელიც პოლიტიკური აზრის გამოხატვას მკაცრად ზღუდავდა. ეს იყო სწორედ ის „მონობაში“ მოპოვებული უმაღლესი თავისუფლება, რაზეც მე ვსაუბრობდი.**

და აი, პარადოქსიც:

**თავად „ბოროტების იმპერიამ“, საკუთარი იდეოლოგიური უპირატესობის დასამტკიცებლად, შექმნა ის ინსტიტუციური ბაზა (ჭადრაკის სასახლეები, სკოლები, სისტემა), რომელმაც ამ ეროვნულ გენიას გაფურჩქვნის საშუალება მისცა. სისტემა ცდილობდა, ეს მიღწევა „საბჭოთა ადამიანის“ ტრიუმფად მოენათლა, სინამდვილეში კი ეს იყო ქართული გენეტიკური კოდის გამარჯვება.**

თუმცა, მხოლოდ ინტელექტით არ შემოფარგლულა ეს პროცესი. თუ ჭადრაკი ინდივიდუალური ინტელექტის ზეიმი იყო, 1981 წლის 13 მაისს თბილისის „დინამოს“ კოლექტიური ეროვნული შემოქმედების შედევრი დადგა.

**ეს არ იყო უბრალოდ საფეხბურთო მატჩი. ეს იყო ეროვნული სულის ლიტურგია. ყიფიანი, გუცაევი, შენგელია, ჩივაძე – ისინი არ იყვნენ მხოლოდ ფეხბურთელები; ისინი იყვნენ ეროვნული იდეის დემიურგები, რომლებმაც თასების მფლობელთა თასის აღმართვით იმპერიის საზღვრებს შიგნით ალტერნატიული, სულიერი საქართველოს დროშა აღმართეს.**



ლაშა ტალახაძე – უდიდესი გიგანტი

ეს არც ერთეული გამონათებები იყო. ეს იყო სისტემური მუშაობისა და ეროვნული ხასიათის სინთეზი, რომელმაც მოგვცა კალათბურთის ოლიმპიური ჩემპიონები – ქორქია და საკანდელიძე, რომელთა სათამაშო სტილიც ხომ სუფთა ქართული შემოქმედებითი ავანტიურა და იმპროვიზაცია გახლდათ.

გადავინაცვლოთ ჩვენს ეპოქაში. დიახ, ჩვენ დღესაც გვყავს ჩემპიონები. ჩვენ გვყავს **ლაშა ტალახაძე,** უდიდესი გიგანტი; გვყავს ძიუდოისტთა და მოჭიდავეთა პლეადა, რომლებიც მსოფლიოს არენებს იპყრობენ. ჩვენ ვამაყობთ თითოეული მათგანით.

მაგრამ დროა, დავსვათ მთავარი, მტკივნეული კითხვები:

**ეს წარმატებები სისტემის შედეგია თუ სისტემის მიუხედავად მიღწეული ინდივიდუალური გმირობის და უნიკალური გენეტიკური პოტენციალის ნაყოფი?**

**სად გაქრა ინტელექტუალური სპორტი? რატომ აღარ ესმის მსოფლიოს ქართველი მოჭადრაკე ქალების სახელი ისეთივე მონიწებით? პასუხი მარტივია: ინტელექტუალური სპორტი კვდება იქ, სადაც კვდება ზოგადი ინტელექტუალური მისია.**

სად გაქრა კოლექტიური, გუნდური შემოქმედება? მოდით, ვისაუბროთ ფეხბურთზე. ის, რაც 1981 წელს ეროვნული იდენტობის მწვერვალი იყო, დღეს რად იქცა? უსასრულო კორუფციის, გაურკვეველი გარიგებების, კლანური დაპირისპირებებისა და იმ „ექსპერტოკრატიის“

**თავად „ბოროტების იმპერიამ“, საკუთარი იდეოლოგიური უპირატესობის დასამტკიცებლად, შექმნა ის ინსტიტუციური ბაზა (ჭადრაკის სასახლეები, სკოლები, სისტემა), რომელმაც ამ ეროვნულ გენიას გაფურჩქვნის საშუალება მისცა. სისტემა ცდილობდა, ეს მიღწევა „საბჭოთა ადამიანის“ ტრიუმფად მოენათლა, სინამდვილეში კი ეს იყო ქართული გენეტიკური კოდის გამარჯვება.**

(რომელიც წინა პოსტში ვახსენე) კვების წყაროდ, რომელიც არაფერს ქმნის, მხოლოდ მოიხმარს, ანაწილებს და „ანალიზს“ უტარებს მარადიულ მარცხს.

დღევანდელი ჩვენი სპორტული წარმატება (ძალისმიერ, ინდივიდუალურ სახეობებში) ჰგავს არა ჯანსაღი ეროვნული ორგანიზმის მოქმედებას, არამედ წარსულის ინერციას, აგონიის პირას მყოფი სხეულის ცალკეული, ძლიერი კუნთების კონვულსიას. ეს არის ინდივიდუალური გმირობა და არა ეროვნული სისტემის ტრიუმფი.

დავუბრუნდეთ ჩემს მთავარ თეზისს, რომელიც სპორტის მაგალითზე კიდევ უფრო გამძაფრდა. სპორტიც და ხელოვნებაც შემოქმედებაა. შემოქმედება კი, თავისი ონტოლოგიური არსით, არის ღმერთის ხატად და სახედ ყოფნის გამოვლინება. ის მოითხოვს არა მხოლოდ ტექნიკას, არამედ იდეას, მისიას და სულიერ მუხტს.

საბჭოთა პერიოდის გარეგნული წნეხისა და იდეოლოგიური მარწუხების მიუხედავად, ეროვნულ სულს შენარჩუნებული ჰქონდა შინაგანი კავშირი დიდ იდეასთან (თუნდაც ეს იდეა ეროვნული თვითგადარჩენა ყოფილიყო) და შესაბამისად, შენარჩუნებული ჰქონდა შემოქმედების უნარი.

**დღევანდელი „თავისუფლება“ კი აღმოჩნდა სულიერი და იდეური ვაკუუმი. როდესაც ერი კარგავს თავის მისიას, როდესაც მისი მთავარი საზრუნავი ხდება არა შექმნა, არამედ მხოლოდ მოხმარება, არა ბრძოლა, არამედ გაუთავებელი კრიტიკა და შიდა საგოტაჟი – მაშინ კვდება შემოქმედების უნარი. კვდება კინოში, თეატრში, ლიტერატურაში და კვდება სპორტშიც. არენა, ისევე როგორც სცენა, დაცლილია არა სხეულებისგან, არამედ – სულისგან.**

**საბჭოთა ათეისტური დიქტატურა იყო გარეგანი მტერი. და სწორედ ამ გარეგან მტერთან ბრძოლაში, ეროვნული სული, მართლმადიდებლური იდენტობით გაჯერებული, ახდენდა შინაგანი თავისუფლების მობილიზებას. „მონანიება“, „დათა თუთაშხია“, „შერეკილები“ – ეს არ იყო „საბჭოთა კულტურა“; ეს იყო ეროვნული სულის შემოქმედებითი წინააღმდეგობა, შინაგანი თავისუფლების ტრიუმფი გარეგან მონობაზე. მტერი იყო ხილული და ამ მტერთან ბრძოლა შობდა ენერგიას.**



**ირაკლი ყიფიანი**

(დასასრული იქნება)



# ლაშა ნადარეიშვილი

# ვაი, დედა, ეს რა ვნახე!

ასიათას გმირად დარჩა
ვინც არ გმობდა
ქრისტეს სახელს,
მტკვარზე ეგო
სისხლის ფარჩა...
ვაი, დედა, ეს რა ვნახე!

არ დანებდა დედოფალი
ჯალათს,
გაზით
მკერდის ამხევს,
შენ გყოლიია, ერო, ქალი...
ვაი, დედა, ეს რა ვნახე!

მძვინვარებდა მოურავი,
შვილს დასცქერდა,
ყელში ნახმლევს,
მიენდობა შაჰს ნურავინ...
ვაი, დედა, ეს რა ვნახე!

ძმებს მარხავდა ზაზალეთი,
ძმებზე ბოღმის
გადამნახველს,
დუმდა გვამთა ლაზარეთი...
ვაი, დედა, ეს რა ვნახე!

ზღვაც ტიროდა ანაკლიის
ტყვეებს, გაღმა განასახლებს,
ახლაც ვისმენ ანას კივილს...
ვაი, დედა, ეს რა ვნახე!

იარებით დაიხლიჩა
მამლუქების პირი-სახე,
აქეთ – გოჩა, იქით – ხვიჩა...
ვაი, დედა, ეს რა ვნახე!

ყრმა არ შერჩა
არსად კრწანისს,
ღალატისგან
ცრემლში ნახვევს,
მზეც შეიქნა დასაკრძალი...
ვაი, დედა, ეს რა ვნახე!

არ მესროლოთ,
ილია ვარ! –
მიაძახა ავის მზრახველს,
თოფმა მაინც იგრიალა...
ვაი, დედა, ეს რა ვნახე!

მპირდებოდა ოქროს ხანას,
მაგრამ შევრჩი წითელ მახეს,
მკვდრებს აევსო ოქროყანა...
ვაი, დედა, ეს რა ვნახე!

მერეც ბევრჯერ
მომჭრეს მკლავი,
ტაძრად პირჯვრის
გადამსახველს,
სამებაზე იჯდა ყვავი...
ვაი, დედა, ეს რა ვნახე!
რაღა გითხრა სხვა,
ქართველო,
შერჩენილო ნავენახევს,
ვეძიებდი საქართველოს,
მაგრამ, ვაგლახ,
ვერსად ვნახე!

ამის მერე ისტორია
გინდ — აქე და
გინდა – ძრახე,
მიწა მიაქვს სხვისტომიანს,
დაეკარგა ფერი ძახველს...

...ღრუბლებიდან
ქართლის ბედად
გვიმზერს ციხე მოდინახე,
მეყო დედა, მეყო დედა,
რაც რომ შავი წლები ვნახე!

# შალვა პაპუაშვილი: დონალდ ტრამპის საქმე არის დასტური, რომ საქართველოს წინააღმდეგ ჰიბრიდულ ოპერაციაში „ბიბისი“ პროპაგანდის იარაღად მონაწილეობდა



**„ეს აჩვენებს ფალსიფიკაციის იმ დონეს, რაზეც მიდის „ბიბისი“ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე.**

ფაქტია, რომ ამის უკან დგას პოლიტიკური ინტერესები და სავარაუდო პოლიტიკური დაკვეთა, ამ შემთხვევაში აშშ-ის პრეზიდენტის წინააღმდეგ. იცით, რომ წინასაარჩევნოდ იყო სიუჟეტი მომზადებული, რათა დონალდ ტრამპის დისკრედიტაცია მოეხდინათ. კიდევ ერთხელ დასტურდება, ის ზღაპარი, რასაც ჩვენ გვიყვებიან მედიასტანდარტებზე, რომელიც თითქოს არსებობს ზოგიერთ ქვეყანაში და რასაც ჩვენ პირიქით ვხედავდით ბევრ მაგალითზე, არის აბსოლუტურად ერთი ხელით მართული პროპაგანდისტული მანქანა, სხვადასხვა ქვეყანაში ერთი კონგლომერაციული გაერთიანებებით იმართება. ეს კიდევ ერთხელ დასტურდება და ამყარებს, მათ შორის, ჩვენს პრეტენზიას „ბიბისის“ წინააღმდეგ.

თუ არ ვცდები, პრეზიდენტმა ტრამპმა განაცხადა, რომ 10-მილიარდიანი სარჩელი შეაქვს „ბიბისის“ წინააღმდეგ. იცით, რომ ჩვენც ვმუშაობთ ამ სარჩელზე, იურისტები მუშაობენ ამ სარჩელთან დაკავშირებით და, რა თქმა უნდა, ჩვენც იგივე გზას მივმართავთ. იცით, რომ არის შესაძლებლობა მარეგულირებელ კომისიაში გასაჩივრების და ყველა სამართლებრივ მექანიზმს მივმართავთ, რათა „ბიბისის“ ფალსიფიკაცია ვამხილოთ. კიდევ ერთხელ დასტურდება ამ გარემოებებით და მათ შორის, ტრამპის საქმეც ზუსტად ამის დასტურია, რომ ეს იყო ჰიბრიდული ოპერაცია საქართველოს წინააღმდეგ, რომელშიც პროპაგანდის იარაღად მონაწილეობდა „ბიბისი“. იურისტები მუშაობენ, ვამზადებთ სარჩელს.

რა თქმა უნდა მიმართვას სჭირდება მომზადება, მათ შორის სავარაუდოდ საჭირო იქნება ბრიტანეთში იქაური იურიდიული დახმარების გამოყენება, ვინაიდან წარმომადგენლობაც მნიშვნელოვანი არის. ასე რომ, შევხედოთ, სამართლებრივად ვმუშაობთ ამ დოკუმენტზე“.

**საქართველოს პოლიტიკური სცენა დაპირისპირების ახალ ფაზაში შედის, სადაც როგორც ხელისუფლება, ისე ოპოზიცია ბოლომდე ბრძოლის გზას ადგას. ეს დაპირისპირება, პერმანენტული ქუჩის აქციების პარალელურად, ხელისუფლების მხრიდან კანონმდებლობის ეტაპობრივად გამკაცრებას მოიცავს, რაც ოპოზიციისთვის სტრატეგიის გადაფასების აუცილებლობას ქმნის.**

# „ოცნება“ კანონებს ამკაცრებს, ოპოზიცია ჩიხში შედის!

## ბელარუსის ეფექტი?

**13 დეკემბერს ბელარუსის ლიდერმა ალექსანდრ ლუკაშენკომ 123 პოლიტპატიმარი გაათავისუფლა, რაც დონალდ ტრამპთან მიღწეული შეთანხმების შედეგი იყო. ამ შეთანხმების ფარგლებში, აშშ-მა ბელარუსის კალიუმის ინდუსტრიაზე სანქციები მოხსნა.**

საქართველოში ოპოზიციის ნაწილი იმედოვნებს, რომ ანალოგიური ზეწოლით, დასავლეთი საქართველოს ხელისუფლებასაც აიძულებს გაათავისუფლოს ბოლო ერთი წლის განმავლობაში დაკავებული აქციის მონაწილეები და აქტივისტები, რომელთა რიცხვი, მათი შეფასებით, 150-მდეა.

თუმცა, საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი** მკვეთრად მიჯნავს საქართველოსა და ბელარუსის მოვლენებს და საკუთარ ქვეყანაში სხვა ქვეყნის მაგალითად მოყვანას მიუღებლად მიიჩნევს. ის ასევე მიუთითებს პროტესტის მასშტაბების არსებით განსხვავებაზე.

ბელარუსისგან განსხვავებით, სადაც მასშტაბური სახალხო გამოსვლები ფიქსირდებოდა, თბილისში ქუჩის პროტესტები მცირე რაოდენობრივ შემადგენლობას აჩვენებს. ამის ნათელი მაგალითია 13 დეკემბრის აქცია, სადაც მონაწილეთა მცირე რაოდენობა მივიდა და მალევე დაიშალა. ეს ფაქტი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ქუჩის ბრძოლის ეფექტიანობას ოპოზიციისთვის.

იხ. 8 გვ.

# ორსახოვნება იანუსისა...



„განვლილ თვეებში არაერთი წერილი მაქვს გამოქვეყნებული, რომელშიც კონკრეტული ფაქტების ანალიზით არაფორმალური ოლიგარქიული მმართველობა, უმეტესად „დიფ სთეითის“ სახელით ცნობილი ჩრდილოვანი ძალები, სახეცვლილების მცდელობაში ვამხილე, ხოლო აშშ-ის მოქმედ პრეზიდენტზე, დონალდ ტრამპსა და მის ადმინისტრაციაზე ასევე მტკიცებულებების დონეზე დავადასტურე, რომ ისინი არათუ ებრძვიან ოლიგარქიულ ძალებს, არამედ პირდაპირ მათ დავალებას ასრულებენ და ეგრეთ წოდებული რებრენდინგის პროცესში ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებენ. ვინაიდან დღევანდელ სამყაროში საინფორმაციო ნაკადების მიმოსვლა არნახული სისწრაფით ხდება და საზოგადოებას, რომლიც გადატვირთულია პირადი თუ სამსახურებრივი საქმეებით, ნაკლები დრო რჩება, გააანალიზოს გეოპოლიტიკური პროცესები, ასევე დაინახოს კულისებს მიღმა არსებული რეალობა, ჩემს ერთ-ერთ მოვალეობად მივიჩნევ, ქართველი ხალხი შევაიარაღო სიმართლით.




**ზაზა შათირიშვილი:**

# კონკრეტულ დინასტიებს არ უნდა მივცეთ საშუალება, საკუთარი ხელით დაგვანგრევინონ სამშობლო!..

**ჩვენისთანა პატარა ერს ამ მოცემულობაში მხოლოდ და მხოლოდ გონივრული კოლექტიური გადაწყვეტილება გადაგვარჩენს, რისთვისაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ხალხი აღჭურვილი იყოს ანალიზზე დაფუძნებული სიმართლით. მით უმეტეს, რომ ხსენებული ჩრდილოვანი ძალები დღეს სრულად აკონტროლებენ არა მხოლოდ ფსევდოლიბერალურ მედიას, არამედ ვითომდა კონსერვატიულ საინფორმაციო წყაროებსაც, საგოლოოდ კი, მრავალშრიანი პროპაგანდის ნიაღვარში სიმართლის გარკვევა უფრო და უფრო რთული ხდება.**

როდესაც აშშ-ში ბაიდენის ადმინისტრაცია ტრამპის ადმინისტრაციამ შეცვალა, იყო განსაკუთრებული მოლოდინი, რომ დაიწყებოდა რეალური ბრძოლა ოლიგარქიული ოჯახების წინააღმდეგ. ამაზე მიუთითებდა პერსონალურად მისი განცხადებები, ამაზე მიუთითებდა მარკო რუბიოს, ჯეი დი ვენსის, ტულსი გაბარდის და სხვა მაღალჩინოსნების მძაფრი რიტორიკა, რომლებიც ყველა ბოროტების სათავედ სწორედ „დიფ სთეითს“ (არაფორმალური ოლიგარქიული მმართველობა) ასახელებდნენ.

სიტყვებს მიღმა თითქოს ახალი ადმინისტრაციის ქმედებებიც გარკვეული იმედის საფუძველს იძლეოდა, როდესაც ტრამპის ბრძანებით ჯერ ამხილეს, ხოლო შემდეგ დაფინანსება დაუხურეს და საქმიანობა შეუჩერეს ისეთ ფონდებს, როგორებიცაა USAID, NED და სხვა კრიმინალური დაჯგუფებები, თუმცა, სამწუხაროდ, მალევე ცხადი გახდა, რომ საქმე გვაქვს არა „დიფ სთეითის“ (არაფორმალური ოლიგარქიული მმართველობის) წინააღმდეგ ბრძოლასთან, არამედ ოლიგარქიული ოჯახების მიერ დადგმულ სპექტაკლთან, რომლებმაც გადაწყვიტეს, საკუთარი მოქმედების ფორმებსა და მექანიზმებს, რაც საზოგადოებისთვის აშკარა და მიუღებელი გახდა, სახე უცვალონ. არაფორმალური ოლიგარქიული მმართველობა, იგივე „დიფ სთეითი“ – ეს არის ერთი ჯგუფი, ერთი შინაარსისა და ფორმის მქონე 10-15 ოჯახი, რომლებიც რამდენიმე საუკუნეა, ერთად მოდიან, ერთად ძარცვავენ მსოფლიოს და მართავენ მსოფლიო ეკონომიკის დიდ ნაწილს, სრულად მართავენ ამერიკის შეერთებულ შტატებს, ევროკავშირს და ღრმად აქვთ გადგმული ფესვები სხვა ქვეყნებში, თუმცა ამაზე საუბარს ახლა არ ვაპირებ.




**მინდა, მივმართო აშშ-ის პრეზიდენტს, რომელ „დიფ სთეითს“ (არაფორმალურ ოლიგარქიულ მმართველობას) ებრძვის? ვის გამოუცხადა ბრძოლა? ბიუროკრატიაში შუა რგოლის მენეჯერებს? ოლიგარქების მიერ ხელოვნურად შექმნილ მილიარდერებს? წინა პრეზიდენტს?**

დავუბრუნდეთ დონალდ ტრამპის ყალბ ბრძოლას „დიფ სთეითის“ (არაფორმალური ოლიგარქიული მმართველობის) წინააღმდეგ და რამდენიმე მოცემულობა გავაანალიზოთ. მთელი ამ დროის განმავლობაში, როდესაც აშშ-ის პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტის, სახელმწიფო მდივნისა და სხვა ჩინოვნიკების რიტორიკა არაფორმალური გავლენების დანგრევის აუცილებლობისკენ იყო მიმართული, თუ გახსენდებათ, ოდესმე მათ დაესახელებინოთ რომელიმე გავლენიანი ოჯახის გვარი, დაესახელებინოთ „ბლექროკი“ და „ვანგარდი“, კორპორაციები, რომლებიც ფლობენ უდიდეს აქტივებს და აერთიანებენ ამერიკის მთლიან სიმდიდრეს... თუ გახსენდებათ, რომ ოდესმე, თუნდაც განცხადების დონეზე, ეხსენებინა „დიფ სთეითთან“ (არაფორმალურ ოლიგარქიულ მმართველობასთან) „მებრძოლ“ ადმინისტრაციას რომელიმე რეალური ოლიგარქის დინასტია?

ვერ გაიხსენებთ, რადგან მსგავსი შემთხვევა არ ყოფილა.

**USAID, NED, ჯორჯ სოროსი, სპეცსამსახურები, შუა რგოლის მენეჯერები – როდესაც მოქმედი ადმინისტრაცია „დიფ სთეითს“ (არაფორმალურ ოლიგარქიულ მმართველობას) უტევს, ძირითადად ამ სინდიკატს ახსენებს, მაგრამ საზოგადოება სულელი არ არის და კარგად აცნობიერებს, რომ ფონდებიც, ხელოვნურად შექმნილი ბიზნესმენებიც და შუა რგოლის მენეჯერებიც სპეცსამსახურებში მხოლოდ შემსრულებლები არიან, მათ უკან კი სწორედ 10-15 ოლიგარქიული ოჯახი დგას, რომლებიც განკარგავენ ყველაფერს და ასე გამალებით ცდილობენ საკუთარი ცოდვების ჩამორეცხვას, უხეშად რომ ვთქვათ – აყროლებული თემების გვერდზე გაწევას და რებრენდინგს.**

სწორედ არაფორმალური ოლიგარქების შემოგდებული თემაა ბოლო პერიოდში წამოწეული ტერმინები – ევროპული და ამერიკული „დიფ სთეითი“, თითქოს აშშ-ში ეს ძალა მარცხდება, ხოლო ევროპაში ძალებს იკრებს. ეს ყველაფერი ტყუილია – არანაირი ევროპული და ამერიკული ოლიგარქები არ არსებობენ. ჩემ მიერ ხსენებული 10-15 ოჯახი, ასეულობით წელია, ერთად მოდიან, ერთად მოქმედებენ, უბრალოდ, ახლა რებრენდინგის გეგმას აწყობს ფორმალური გაყოფა, რომ როგორმე ამერიკას ყურადღება მოაშორონ და სიმძიმის ცენტრი ევროპაზე გადმოიტანონ.

არის კიდევ ორი მნიშვნელოვანი თემა, რაც აქამდე არ მიხსენებია და რაც პირდაპირ ამხელს ტრამპის სიყალბეს „დიფ სთეითთან“ (არაფორმალურ ოლიგარქიულ მმართველობასთან) ბრძოლაში. უფრო მეტიც, პირდაპირ ამხელს, რომ ის ოლიგარქიული ოჯახების მოკავშირეა და მათი დავალებით „რებრენდინგის“ პროცესში მონაწილეობს. კარგად გახსოვთ, რომ წინასაარჩევნო პერიოდში და შემდგომ რამდენიმე თვე დონალდ ტრამპი ხმალამოღებული ებრძოდა ლგბტ იდეოლოგიას, იმუქრებოდა, რომ ერთნაირსქესიანთა ქორწინებას გააუქმებდა და დაისჯებოდა ყველა, ვინც ცხოვრების ამ გაუკუღმართებული წესის პოპულარიზაციასა და დანერგვაში მონაწილეობდა. ჰოი, საოცრებავ – იცით, რამდენიმე დღის წინ რა მოხდა? იცით, რა არ გააშუქა არც ლიბერალურმა და არც კონსერვატიულმა ამერიკულმა მედიამ?

**რესპუბლიკური პარტიის კვოტით, დონალდ ტრამპის მიერ შერჩეული მოსამართლეებით დაკომპლექტებულმა უზენაესმა სასამართლომ განხილვაშიც კი არ მიიღო ერთნაირსქესიანი პირების ქორწინების გაუქმების სარჩელი. არადა, ტრამპის ადმინისტრაცია, უშუალოდ პრეზიდენტი საარჩევნო კამპანიას სწორედ ამ თემაზე აგებდა და მართალიც იყო, როდესაც ამბობდა, რომ ლგბტ პროპაგანდა, ფსევდოლიბერალური იდეოლოგია უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს კაცობრიობისთვის. ამის პარალელურად, სწორედ ტრამპი იყო ის ადამიანი, რომელიც წინასაარჩევნო კამპანიის დროს პირობას აძლევდა ამერიკელ ხალხს, რომ მკაცრად დასჯიდა ყველა იმ ადამიანს, რომლებიც ხელს უწყობდნენ სხვადასხვა მეთოდით სქესის შეცვლის ოპერაციებს.**

# პრობლემების მოგვარება შუამავლის გარეშე...

ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, ამერიკაში ყოველწლიურად 10 000 ადამიანი იცვლის სქესს ქირურგიული ჩარევით, ხოლო ამის მიღმა არაოფიციალური სტატისტიკა, მინიმუმ, სამმაგია. ეს ოპერაციები ჩაატარეს კონკრეტულმა ექიმებმა კონკრეტულ კლინიკებში, დააფინანსეს კონკრეტულმა ფონდებმა და ამ პროცესს პროპაგანდას უწევდა კონკრეტული მედიასაშუალებები. გინახავთ ვინმე დასჯილი? გინახავთ ეს თემა ტრამპის დღის წესრიგში? გინახავთ რომელიმე ექიმი განსასჯელის სკამზე? ცხადია, არა – ეს თემაც ისევე ჩახსნა ტრამპმა დღის წესრიგიდან, როგორც ბევრი სხვა დაპირება „დიფ სთეითის“ (არაფორმალური ოლიგარქიული მმართველობის) წინააღმდეგ დაანონსებულ ბრძოლაში.

ამ საკითხების მიღმა, გასულ კვირას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა, რაც კითხვის ნიშანსაც კი აღარ ტოვებს, რომ პროცესებს მთლიანად ოლიგარქები მართავენ და გეგმაზომიერად, მწყობრად აგრძელებენ თავიანთი ამოცანების შესრულებას. უკრაინის თემაზე მოლაპარაკებებში იქამდე მონაწილე კუშნერსა და უიტკოფს, მათივე ეროვნების გავლენიანი პირი, ოლიგარქების ერთ-ერთი მთავარი კორპორაციის, „ბლექროკის“ მმართველი ლარი ფინკი შეუერთდა. ანუ, რა გამოდის – არაფორმალური მმართველების უშუალო წარმომადგენელი, რომელსაც ბევრად უფრო დიდი გავლენები აქვს, ვიდრე თავად ამერიკის პრეზიდენტს, პირადად ხელმძღვანელობს ევროპის კონტინენტზე ვითარების გადალაგების პროცესს. ამიტომ მინდა, მივმართო აშშ-ის პრეზიდენტს, რომელ „დიფ სთეითს“ (არაფორმალურ ოლიგარქიულ მმართველობას) ებრძვის? ვის გამოუცხადა ბრძოლა? ბიუროკრატიაში შუა რგოლის მენეჯერებს? ოლიგარქების მიერ ხელოვნურად შექმნილ მილიარდერებს? წინა პრეზიდენტს? ეს ხომ სასაცილოა. ამას ხომ უკვე პატარა ბავშვიც კი არ დაიჯერებს.

ცალკე ანალიზის თემაა ის მოვლენები, რაც დღეს ევროპის და ევროკავშირის გარშემო ვითარდება. ბევრჯერ მითქვამს და კიდევ ერთხელ გავიმეორებ – ცინიზმია ის, რა განცხადებებსაც ვისმენთ დღეს აშშ-ის მოქმედი ადმინისტრაციის და მათი მოკავშირეების მხრიდან ევროპის შესახებ.

**„დემოკრატია აღარ არსებობს“, „ევროპის ეკონომიკა ინგრევა“, „მიგრანტები ანადგურებენ ევროპას“, „ევროკავშირში დიქტატურაა“.**

გასული რამდენიმე დღის განმავლობაში ეს განცხადებები გააკეთეს დონალდ ტრამპმა, ილონ მასკმა, ჯეი დი ვენსმა და სხვა მაღალი თანამდებობის პირებმა. საკამათო არცერთი მოსაზრება არ არის, მაგრამ მთავარ კითხვას ყველა გაურბის: ვინ მიიყვანა ამ მდგომარეობამდე ევროკავშირი? მიიყვანა სწორედ არაფორმალურმა ოლიგარქიულმა მმართველობამ, რომლის ხელდასხმით, აგენტურული მთავრობები, სულ მცირე, 17 წელია, მიზანმიმართულად ანგრევენ ევროპას და მის ეკონომიკას. სწორედ ახლა თავიანთი გაფუჭებულის სააშკარაოზე გამოტანით და წვრილფეხა აგენტებზე, სხვადასხვა ევროპული ქვეყნის მეთაურებსა და ევროკავშირის აგენტურულ ხელმძღვანელობაზე გადაბრალებით მათ სისრულეში მოჰყავთ გეგმის შემდეგი ნაწილი, რომელსაც ევროკავშირის დაშლა, ქვეყანათა შორის არსებული ეკონომიკური კავშირების საბოლოოდ გათიშვა და გაერთიანების გაუქმება უნდა მოჰყვეს.

აკი „გაჟონა“ კიდეც მედიაში საიდუმლო გეგმამ, რომელიც ევროკავშირიდან რამდენიმე ქვეყნის გამოსვლას ითვალისწინებს. საბოლოოდ, ევროპაში არაფორმალური ოლიგარქები მიიღებენ მოცემულობას, რომ კავშირი დაიშლება, ხოლო ცალკეული ქვეყნები, რომლებიც ძირითადად მსხვილი მოთამაშეების, გერმანიის, საფრანგეთისა და კიდევ რამდენიმე ქვეყნის ეკონომიკაზე არიან მთლიანად დამოკიდებულნი, უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდებიან. ნუ დაგვავიწყდება, რომ იქამდე ოლიგარქიულმა ოჯახებმა ევროპას სრულად ჩაუხსნეს რუსეთისგან მომავალი იაფი ენერგორესურსი, ხოლო კიდევ უფრო ადრე გამოგონილი „მწვანე პოლიტიკით“ უარი ათქმევინეს და დაახურინეს ატომური ენერგიის მასშტაბური წყაროები.

სწორედ ოლიგარქების დავალებით, ევროკავშირის დასაშლელად მოქმედებს დღეს „დიფ სთეითის“ (არაფორმალური ოლიგარქიული მმართველობის) მიერ მართული აშშ-ის ადმინისტრაცია და სწორედ ამ მიზანს ემსახურება ის მძაფრი რიტორიკა, ევროკავშირში არსებული მანკიერებების ზედაპირზე ღიად გამოტანა. მაშინ, როდესაც უკვე ყოფილი ევროკავშირის წევრი ქვეყნები უმძიმეს ეკონომიკურ კრიზისში აღმოჩნდებიან და ამაზე თვალის დახუჭვა უკვე შეუძლებელი იქნება, ამოქმედდება ოლიგარქიული ოჯახების გეგმის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი – დისკრედიტირებული პოლიტიკური პარტიები და ცალკეული პოლიტიკოსები, რომელთა რეიტინგი დღეს 15%-ის ფარგლებში მერყეობს და, ცხადია, ესეც „დიფ სთეითის“ (არაფორმალური ოლიგარქიული მმართველობა) მიერ დალაგებული გეგმის ნაწილია, ვეღარ აიღებენ პასუხისმგებლობას პოლიტიკურ ხელმძღვანელობაზე, ქვეყნის მართვაზე. ისინი მიმდინარე პროცესებით სრულად იძარცვებიან მინიმალური ლეგიტიმაციისგან, ამიტომ დღის წესრიგში დადგება არსებული ეგრეთ წოდებული „დემოკრატიული სისტემის“, სახელმწიფოს ინსტიტუციის სრულად გაუქმების და ახალი მოდელის დაფუძნების საკითხი. ახალი მოდელი კი იქნება კორპორაციული მმართველობა.

ჩემი გათვლებით – უახლოეს რამდენიმე წელიწადში ეს მოდელი საცდელად ერთ-ერთ ქვეყანაში დაინერგება. ხალხს ეტყვიან, რომ პოლიტიკამ და, ზოგადად, არჩევნებმა ამოწურა საკუთარი თავი,

**კორპორაციული მმართველობა კი იქნება „სასიამოვნო სიახლე“ საცდელი ქვეყნის მოსახლეობისთვის. ცხადია, იმ ერთ ქვეყანაში ყველაფერი იმდენად სწრაფად გამოსწორდება, იმდენად მალე დაიძლევა კრიზისი, რომ დაშლილი ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოსახლეობა იქით მოითხოვს მოდელის დუბლირებას მათ ქვეყნებში. ეს იქნება არაფორმალური ოლიგარქიული მმართველობის პირდაპირი დაკანონება. ისინი უკვე არა პოლიტიკოსებად წოდებული აგენტურის ხელით, არამედ დანიშნული მენეჯერებით მომართავენ ქვეყნებს, კიდევ უფრო მეტი სიმძაფრით აღაზევებენ ლგბტ პროპაგანდას, კიდევ მეტი ინტენსივობით განავრცობენ ფსევდოლიბერალურ იდეებს და ადამიანს გადააქცევენ სრულიად უუფლებო, არჩევანწართმეულ და უფლებააყრილ არსებად, რომელსაც აღარ ექნება არც იდეოლოგია, არც რწმენა, არც ოჯახის სიყვარული, არც იდენტობა.**

კორპორაციული მმართველობის პირობებში საერთოდ გაუქმდება სახელმწიფოს არსი, ხოლო მოქალაქეები გახდებიან კონკრეტული ოჯახების მომსახურე პერსონალი. რაც ყველაზე ტრაგიკულია, ლგბტ პროპაგანდის შედეგად ადამიანთა უმეტესობა უარს იტყვის საკუთარ სქესზე და მოგონილი „გენდერული იდენტობის“ საფარქვეშ ცხოვრების გაუკუღმართებული წესი ნორმად დაკანონდება. სწორედ ეს არის ის დიდი მიზანი, რომლისკენაც არაფორმალური ოლიგარქიული ოჯახები მიმდინარე პროცესებით მიიწევენ.

მოცემულ ვითარებაში ოპტიმისტური განწყობის შექმნა ძალიან რთულია, მით უმეტეს, როდესაც ვიცით, რა შესაძლებლობები აქვთ ოლიგარქებს.

**ერთადერთი, რაც შეგვიძლია ამ დიდ ძალას დავუპირისპიროთ, არის სიმართლე. არც ჩვენ და არც რომელიმე სხვა ქვეყნის მოსახლეობა არ უნდა შევცდეთ, არ უნდა წამოვეგოთ პროპაგანდას და არ უნდა ვიქცეთ მტრის ხელში უნებლიე იარაღად. არ უნდა მივცეთ საშუალება კონკრეტულ დინასტიებს, საკუთარი ხელით დაგვანგრევინონ ჩვენი სამშობლო, ჩვენი ისტორია, რწმენა და ტრადიციები, რაზეც საუკუნეებია, დგას არა მხოლოდ ქართული, არამედ ძირძველი ევროპული ცივილიზაცია“.**

## შალვა პაპუაშვილი: საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის ნორმალიზების წინაპირობაა რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარება

**„ჩვენ ვთქვით, რა არის წინაპირობა საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის აღდგენის. ეს ურთიერთობები აღდგება იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა იქნება აღიარებული რუსეთის ფედერაციის მხრიდან. რუსეთის ფედერაციამ და რუსეთის ხელისუფლებამ კარგად იციან, რა არის წინაპირობა ურთიერთობის ნორმალიზების. ჩვენ ნორმალიზების მომხრე ვართ და ამის წინაპირობაა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარება“.**

**„ჩვენი ეროვნული ინტერესია ქვეყნის მთლიანობის აღდგენა და კეთილდღეობა. ქვეყნის მთლიანობაში იგულისხმება სუვერენიტეტი. ვინც პატივს არ სცემს ჩვენს სუვერენიტეტს, შესაბამისი დამოკიდებულებაც გვექნება. არ სცემს პატივს რუსეთი ჩვენს სუვერენიტეტს – მკაფიო პოზიცია გვაქვს, რომ დიპლომატიური ურთიერთობა არ გვაქვს რუსეთის ფედერაციასთან. ნათქვამი გვაქვს, თუ რა არის ურთიერთობის აღდგენის წინაპირობა, ეს არის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, სუვერენიტეტის პატივისცემა. არ სცემს პატივს ჩვენს სუვერენიტეტს ბრიუსელი, მათაც ამისკენ მივუთითებთ.**

**როგორც კი პატივს სცემენ ქართველი ხალხის სუვერენიტეტს, ჩვენი ურთიერთობები მაშინვე სხვანაირად დალაგდება“.**




# „დღეს თუ რუსეთს არ დაელაპარაკები, შესაძლოა, მერე უკვე ძალიან გვიან იყოს“

## ოპოზიციის „ყავლგასული“ რიტორიკა ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ

**ოპოზიციის ვარაუდით, პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის ვიზიტი თურქმენეთში, სადაც ის რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან ერთად ფორუმს დაესწრო, შესაძლოა მოსამზადებელი ეტაპი იყოს მათ შორის სამომავლო, მაღალი დონის შეხვედრისთვის. ოპონენტების აზრით, ეს გახლდათ კობახიძის აშხაბადში ჩასვლის უმთავრესი მიზეზი, რაც საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილებაზე მიანიშნებს. თავის მხრივ, მმართველი გუნდი ოპოზიციას 2008 წლის ომის შემდეგ, რუსეთთან ურთიერთობების „დალაგების“ მცდელობას და სტრატეგიული ობიექტების გასხვისებას უხსენებს. ამ ფონზე, ჩნდება კითხვა: რატომ არ უნდა სცადოს საქართველომ საკუთარი პრობლემების მოგვარება შუამავლების გარეშე მაშინ, როდესაც არც NATO-ში გაწევრიანებაა უახლოეს პერსპექტივაში და არც დასავლეთი აღმოჩნდა მშვიდობის გარანტი, როგორც ეს უკრაინის მაგალითზე ნათლად გამოჩნდა? არის თუ არა ღალატი, თუკი პრემიერი კობახიძე პუტინს შეხვდება და ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით რუსეთის პოზიციას გაარკვევს?**

### საგარეო კურსის ცვლილება და „აშხაბადის ჩანაცვლება“

**სამოქალაქო სექტორისა და ოპოზიციის წარმომადგენლები ირაკლი კობახიძის აშხაბადში ვიზიტსა და ვლადიმერ პუტინთან ერთად „მშვიდობისა და ნდობის საერთაშორისო წლის ფორუმზე“ ყოფნას საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილებად აფასებენ.**

**ნინო დოლიძე, „სამართლიანი არჩევნების“ ყოფილი ხელმძღვანელი** აცხადებს, **რომ თუ ადრე „ქართული ოცნება“ ევროინტეგრაციის კურსს უჭერდა მხარს, ახლა „ძალიან მკვეთრი და ცხადი გახდა, რომ ეს ასე არ არის“. ის აღნიშნავს, რომ ეს არ არის მხოლოდ დემოკრატიული უკუსვლა, არამედ საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილებაა, რაც დასავლელ პარტნიორებზე თავდასხმით და ევროინტეგრაციისგან დამაშორებელ ფორუმებში მონაწილეობით ვლინდება.**

იხ. 9 გვ.


მაგთი
MAGTI
5G
ყველაფერი ულიმიტოდ
MB
MIN
SMS
აპლიკაცია/APP
MyMagti
1 დღე - 3₾
3 დღე - 5₾
7 დღე - 12₾
30 დღე - 45₾

# საერთაშორისო აღიარება



## ფაქიზო ფანჩულიძე — ქართველი პედაგოგი, გლობალური დირექტორის ჯილდოს მფლობელი

**28-29-30 ნოემბერს საერთაშორისო საგანმანათლებლო ორგანიზაციის AKS Education Awards ინიციატივითა და ორგანიზებით ქალაქ დელიში გაიმართა მსოფლიო განათლების მუშაკთა საერთაშორისო ფორუმი, რომელშიც მონაწილეობდა 10 ქვეყნის 150-მდე დელეგატი.**

ვიზიტის პირველ დღეს ქართველი დელეგატები სტუმრად მიწვეული იყვნენ განგას საერთაშორისო სკოლაში, მეორე დღე კი AKS-ის მიერ გამოცხადებულ გლობალური დირექტორისა და პედაგოგის კონკურსის გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ. აღნიშნული კონკურსი რამდენიმე თვე მიმდინარეობდა. იგი გამოცხადებული იყო სოციალურ ქსელში. საქართველოდან განაცხადი 350-მდე მონაწილემ შეავსო. აქედან მხოლოდ 6 მათგანს ხვდა წილად გამარჯვება.

გლობალური დირექტორის ტიტული და ჯილდო წილად ხვდა ოტია იოსელიანის სახელობის ქალაქ წყალტუბოს N1 საჯარო სკოლის დირექტორს ფაქიზო ფანჩულიძე-კუჭავას და ქალაქ თბილისის N103 საჯარო სკოლის დირექტორს არჩილ ჩხაიძეს, ხოლო გლობალური მასწავლებლები გახდნენ: რიმა კუპრეიშვილი, ნუკრი კარკაძე, რუსუდან ნუცუბიძე და ანი ანუშიძე.

ვიზიტის მესამე დღეს 15 ქართველი დელეგატი ჰოლის საჯარო სკოლას ეწვია, სადაც გაიმართა დისკუსია გლობალური განათლების თანამედროვე გამოწვევებზე. და აქვე სკოლის პედაგოგთა და დირექტორთა მიერ იქნა საქმიანობები ურთიერთგაზიარებული.

„განსაკუთრებით ამაღელვებელი იყო ჩემთვის ის წუთები, როცა ჩემი საქმიანობა საერთაშორისო დონეზე აღიარეს და კონკურსის ორგანიზატორებთან ერთად გლობალური დირექტორის ჯილდო გადმომცა საქათველოს სრულუფლებიანმა ელჩმა ინდოეთში, ბატონმა ვახტანგ ჯაოშვილმა, რომელმაც თანვე დასძინა, რომ თქვენ ასახელეთ საქართველოო“ – აღნიშნა ფაქიზო ფანჩულიძემ. მანვე აგვიხსნა, რომ საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობის უფლება ჰქონდა საგანმანათლებლო სფეროში მინიმუმ 10-წლიანი გამოცდილების და დირექტორად 5-წლიანი გამოცდილების მქონე პირს.

საკონკურსო 10 კატეგორია იყო. აქედან კონკურსანტს უფლება ჰქონდა მინიმუმ სამი კატეგორიის არჩევისა. ფაქიზო ფანჩულიძემ შემდეგ სამ კატეგორიაზე გააკეთა არჩევანი:

**თანასწორობის, ინკლუზიური და მრავალფეროვანი გარემოს შექმნა და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა;**

**გლობალური და მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებული სწავლების ხელშეწყობა და სპორტისა და ფიზიკური განვითარების დინამიკის ხელმძღვანელობა;**

**დირექტორის ჩართვა საზოგადოების დაინტერესებულ მხარეებთან (მშობლებთან, თემთან და ა.შ.).**



ამ სამ კატეგორიაზე ჟიურისათვის გაგზავნილი იყო მტკიცებულებები: სოციალურ ქსელში სკოლის გვერდზე გამოქვეყნებული პროექტები, გაკვეთილები, ღონისძიებები და ა.შ.

განსაკუთრებული აქცენტი ჟიურიმ გააკეთა ფაქიზო ფანჩულიძეზე, როგორც თანასწორობის, ინკლუზიური და მრავალფეროვანი გარემოს შემქმნელზე სკოლაში და როგორც არაფორმალური განათლების ხელშემწყობზე.

ფაქიზო ფანჩულიძის მიერ არაფორმალური განათლებისადმი განსაკუთრებული ყურადღების დასტური გახლდათ ის, რომ 2019 წელს წყალტუბოს პირველი საჯარო სკოლა იმერეთის საუკეთესო სკოლად დაასახელა მე-9 მოწვევის პარლამენტის განათლების კომიტეტმა, არაფორმალური განათლების კუთხით.

**გლობალური დირექტორის ტიტულის მფლობელმა ფაქიზო ფანჩულიძემ ჩვენთან საუბრისას მადლიერება გამოხატა საქართველოში AKS-ის წარმომადგენლის – განათლების ელჩის ინგა ხარჩილავას მიმართ, რომელიც ამავე დროს Teachere Communiti Georgia-ს დამფუძნებელია, ასევე მადლიერება გამოხატა AKS Education Awards-ის ორგანიზატორების Sarvesh Jagdishraj da Dinesh Kamra-ს და მასწავლებლების გაერთიანების თანადამფუძნებლების: კახაბერ ჩაკვეტაძის, ნინო ცარციძისა და მარიამ მამაგულაშვილის მიმართ.**

უმრავლოს ჩვენს ქვეყანას ასეთი გამარჯვებები.

**სალომე ქობალია,**
სსიპ ოტია იოსელიანის სახელობის ქალაქ წყალტუბოს N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე

## საბერიოელი სტუდენტი გულიას სახელობის სტიპენდიანტია

**შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ცნობით, 2025-2026 სასწავლო წელს დიმიტრი გულიას სახელობის სტიპენდიატი გახდა გიორგი გამისონია, რომელმაც ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონის, გალის რაიონის სოფელ საბერიოს საშუალო სკოლა დაამთავრა და ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარების შედეგად სტუდენტი გახდა. სახელობითი სტიპენდია 600 ლარის ოდენობით მას ყოველთვიურად, ოთხი სასწავლო წლის განმავლობაში გადაეცემა.**



სახელმწიფო მინისტრმა თეა ახვლედიანმა დამსწრე საზოგადოებას გახსნითი სიტყვით მიმართა და შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკისა და „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ სამშვიდობო ინიციატივის პრიორიტეტებზე ისაუბრა, რომლის ფარგლებშიც განსაკუთრებული აქცენტი ახალგაზრდების მხარდაჭერასა და გაძლიერებაზე კეთდება. თეა ახვლედიანმა ყურადღება გაამახვილა ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდების ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილ უნიკალურ მექანიზმებსა და საშეღავათო პროგრამებზე; ხაზი გაუსვა სამშვიდობო პროცესში ახალგაზრდობის ჩართულობის მნიშვნელობას და მათ სწავლასა და შემდგომ საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

დიმიტრი გულიასა და კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტიპენდიები 2018 წლიდან სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივითა და განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით დაარსდა და განკუთვნილია ოკუპირებული ტერიტორიებიდან იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე საუკეთესო შედეგებს აჩვენებენ.

## 800 დევნილი ოჯახი რუსთავში ბინებს მიიღებს

**რუსთავში დევნილი ოჯახების განსახლების მიზნით, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საცხოვრებელი კომპლექსი შენდება. ოთხ ახალაშენებულ კორპუსში სრულად გარემონტებულ ბინას 800 დევნილი ოჯახი მიიღებს.**

სრულფასოვანი საცხოვრებელი გარემოს შექმნის მიზნით გათვალისწინებულია სტადიონის, ბავშვთა გასართობი მოედნის და სავარჯიშო სივრცეების მოწყობა. მშენებლობა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 80 971 596 ლარს შეადგენს.

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ დევნილთა სააგენტომ რუსთავში აღნიშნულ საცხოვრებელ კომპლექსში განსახლების მსურველი დევნილი ოჯახების მიერ შევსებული განაცხადების შეფასების პროცესი უკვე დაიწყო. თითოეულ ოჯახს, კანონმდებლობის შესაბამისად, მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე წინასწარი ქულა მიენიჭება.

მასშტაბური კომპლექსის მშენებლობის პროცესს, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე გიორგი ცაგარეიშვილი და დევნილთა სააგენტოს დირექტორი დავით კაიკაციშვილი გაეცნენ. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს, სრულად გარემონტებული ბინები, ჯამში, 1 614 დევნილ ოჯახს გადაეცა, მათ შორის, 762 ოჯახი, თბილისში, ცოტა ხნის წინ განსახლდა. ამ ეტაპზე, რუსთავის პარალელურად, საცხოვრებელი კომპლექსები სამ ქალაქში – თბილისში, ზუგდიდსა და ბორჯომში შენდება“.



## საქართველოს მასშტაბით საფეხბურთო ტექნიკური ცენტრების პროექტირება-მშენებლობა იწყება

**ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი თხუთმეტ მუნიციპალიტეტში საფეხბურთო ტექნიკური ცენტრების პროექტირება-მშენებლობას იწყებს.**

პროექტი ხორციელდება პრემიერ-მინისტრის ინიციატივით და წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებაში. კონკურსებში გამარჯვებული კომპანიების წარმომადგენლებს ინფრასტრუქტურის მინისტრი **რევაზ სოხაძე** მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელ დირექტორთან **ბექა ურუშაძესთან** ერთად შეხვდა.

**„ინფრასტრუქტურის სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე განიხილეს მშენებლობებთან დაკავშირებული ძირითადი მიდგომები, სამუშაო პროცესები, ვადები, ზედამხედველობის მექანიზმები და ხარისხის სტანდარტები. 16 საფეხბურთო ტექნიკური ცენტრის პროექტირება-მშენებლობა იწყება გორის, თელავის, ყვარლის, ახმეტის, გურჯაანის, სიღნაღის, ახალქალაქის, ახალციხის, ჩოხატაურის, ოზურგეთის, ვანის, სამტრედიის, ჩხოროწყუს, მარტვილისა და აბაშის მუნიციპალიტეტებში. შეხვედრაზე მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ საფეხბურთო ტექნიკური ცენტრები უნდა აშენდეს უმაღლესი ხარისხით და ამ მიმართულებით კომპრომისი არ დაიშვება. რევაზ სოხაძის განცხადებით, ხარისხის კონტროლი განხორციელდება ყველა ეტაპზე — პროექტირების, ზედამხედველობისა და შესრულების ყველა დეტალის ჩათვლით. მინისტრის თქმით, აღნიშნული პროექტი არ არის მხოლოდ ფეხბურთის განვითარებაზე ორიენტირებული. მისი განმარტებით, ახალი ინფრასტრუქტურა შექმნის მრავალფუნქციურ შესაძლებლობებს, გააუმჯობესებს შესაბამის სერვისებზე ხელმისაწვდომობას და მნიშვნელოვნად შეცვლის მუნიციპალიტეტებში არსებულ რეალობას“,** – ნათქვამია ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციაში.

**„პროექტების ფარგლებში მოეწყობა ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მოედნები, ტრიბუნები მაყურებლებისთვის და სხვა აუცილებელი ინფრასტრუქტურა – გასახდელები, სველი წერტილები და სამეურნეო სათავსოები. ახალი სპორტული ინფრასტრუქტურა ხელს შეუწყობს რეგიონებში სპორტის განვითარებას, ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას და მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებას“.**

**იაპონური ჟურნალი „შუკან გენდაი“/(„Shukan Gendai“)** აქვეყნებს ვრცელ სტატიას სათაურით **„ზელენსკის კორუმპირებული მთავრობა მხილებულია, მაგრამ სამი ევროპელი ლიდერი მის მხარდაჭერას მაინც აგრძელებს“** (ავტორი – ტოსიხიკო სიოგარა).

**გთავაზობთ პუბლიკაციის შინაარსს:**

**«週刊現代»**




# ზელენსკის კორუმპირებული მთავრობა მხილებულია

**„ამას წინათ ამერიკულმა გაზეთმა „ნიუ-იორკ თაიმსმა“, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მხარს უჭერდა ვოლოდიმირ ზელენსკისა და მის მთავრობას, ახლახან გაბედა და უკრაინაში არსებული კორუფციის შესახებ სტატია გამოაქვეყნა – „ზელენსკის ადმინისტრაცია კორუფციას ხელს უწყობდაო“, მაგრამ ერთხელაც არ ახსენებს თვითონ პრეზიდენტის ბრალს. არადა, პრეზიდენტი, რომლის მთავრობაც კორუფციულია, განა შეიძლება პატიოსან მმართველად ჩავთვალოთ და დამნაშავე არაფერში არ იყოს?“** – ნათქვამია **„შუკან გენდაის“** სტატიის დასაწყისში.

ავტორი განსაკუთრებით ვრცლად უკეთებს ანალიზს უკრაინის ენერგეტიკულ კომპანია „უკრენერგოში“ მომხდარ სკანდალური კორუფციის ფაქტს. კომპანიაში ბოლო წლებში საკადრო ცვლილებები მთავრობის რეკომენდაციებით განხორციელდა, პირადად იულია სვირიდენკოს მითითებით, რომელიც იმ დროს ვიცე-პრემიერისა და ეკონომიკის მინისტრის ფუნქციებს ასრულებდა. იულია სვირიდენკო კი პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის ანდრეი ერმაკის ფავორიტ ქალბატონს წარმოადგენდა. ვლადიმერ კუდრიცკი, რომელიც ჯერ კიდევ იკავებდა „უკრენერგოს“ გენდირექტორის პოსტს, ეწინააღმდეგებოდა ისეთი ადამიანების დანიშვნებს საპასუხისმგებლო პოსტებზე, რომლებიც გამოუცდელები იყვნენ და არაფერი არ გაეგებოდათ ენერგეტიკაში.

საბოლოო ჯამში „უკრენერგოში“ სიტუაცია უკან-უკან წავიდა და კომპანიაში ქაოსი გამეფდა. საკვირველი ისაა, რომ უკრაინის ევროპელი სპონსორები – ბანკები, მთავრობები და საერთაშორისო ინსტიტუტები შექმნილ სიტუაციას კარგად ხედავდნენ, მაგრამ მათ გადაწყვიტეს არაფერი არ შეეცვალათ. მარტივად რომ ვთქვათ, ევროპის პოლიტიკური ლიდერები შეშფოთებულნი იყვნენ მხოლოდ რუსული აგრესიით, უკრაინის შიგნით მიმდინარე პროცესებზე კი თვალს ხუჭავდნენ. შედეგი ყველამ იცის: ქვეყანაში კორუფცია ყოველთვის არსებობდა, მაგრამ ომის დროს პირდაპირ აყვავდა, როცა პირიქით უნდა ყოფილიყო. იგივე სიტუაცია შეიქმნა სახელმწიფო კომპანია „ენერგოატომში“, რომლის ხელმძღვანელებმა დასავლეთის მიერ ნაჩუქარი 600 მილიონი დოლარი პირადი სარგებლობისათვის დახარჯეს.

**„როგორც ეროვნული ანტიკორუფციული ბიუროს მასალები მოწმობენ, უეჭველია, კორუფცია იყო კომპანია Fire Point-შიც, რომელიც რაკეტებს „ფლამინგოებს“ (ე.წ. უკრაინულ „სასწაულებრივ იარაღს“) და დრონებს ამზადებს. სინამდვილეში რაკეტებიც და დრონებიც დაბალი ხარისხის აღმოჩნდა. ვის შეეძლო ამ ყველაფრის ორგანიზება? მხოლოდ უკრაინის პრეზიდენტს ვოლოდიმირ ზელენსკის. მხოლოდ მას აქვს თავდაცვის მინისტრის დანიშვნის უფლება. მხოლოდ მას შეეძლო თავდაცვითი შესყიდვების სააგენტოს „იღლიაში ამოდება“. მხოლოდ პრეზიდენტს და სხვა არავის.**

**არასახარბიელო საქმეებში (რბილად რომ ვთქვათ) ეჭვმიტანილია უკრაინის პირველი ლედი ელენე ზელენსკაია – პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის ცოლიც. მან მილიარდერ რუსლან შოსტაკის ფონდთან ერთად თხოვნით მიმართა თურქეთის პრეზიდენტის მეუღლეს ემინე ერდოღანს, რომ უკრაინის ბავშვთა სახლების ობლები შეეფარებინა. თურქეთი თხოვნას დათანხმდა და 159 ობოლი ბავშვი მიიღო. მაგრამ საქველმოქმედო პროექტი „ბავშვობა ომის გარეშე“ სატანადოდ ვერ განხორციელდა: პრეზიდენტის ცოლმა ყურადღება ვერ მიაქცია როგორ დაიხარჯა ფონდის 140 მილიონი დოლარი. სინამდვილეში კი არასრულწლოვანი ბავშვები თურქეთში ფსიქოლოგიურ და სექსუალურ ძალადობას განიცდიდნენ, განსაკუთრებით კი გოგონები, რომლებიც დაფეხმძიმდნენ. საქმე, როგორც იტყვიან, „ჩაიფარცხა“. ერთადერთი, ვინც „დაისაჯა“, იყო უფროსი აღმზრდელი, რომელიც ფიზკულტურის მასწავლებლად ჩამოაქვეითეს. რუსლან შოსტაკმა კი სახელმწიფო ჯილდო მიიღო.**

**უკრაინაში წარმატებით მოქმედებს მობილიზაციისაგან გათავისუფლების კორუმპირებული სისტემა – ჭეშმარიტად საშიში მასშტაბებით.**

როგორც ცნობილია, გარკვეული პროფესიის წარმომადგენლები შეიძლება დროებით იყვნენ გათავისუფლებულები სამხედრო სამსახურისაგან, მათი სპეციალობის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო.ეს პრივილეგია აქვთ პროკურატურის, პოლიციის, საგანგებო სიტუაციების სახელმწიფო სამსახურის, ასევე სხვადასხვა საწარმოების მუშაკებს, რომლებიც თავდაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობენ. ასეთი რამ ბევრ ქვეყანაში ხდება, მაგრამ უკრაინაში სისტემამ კორუმპირებული ხასიათი მიიღო: უკრაინის სამინისტროებს უფლება აქვთ ისეთი ბრძანებები გამოსცენ, რომელთა მიხედვით, რიგ კომპანიებს თავიანთი თანამშრომლების სამხედრო მობილიზაციიდან გათავისუფლება შეუძლიათ. შექმნილი სისტემა უფლებას აძლევს კორპორაციების ხელმძღვანელებს სამუშაოზე მიიღონ ისეთი ადამიანები, რომლებიც ჩვეულებრივად, სამხედრო სამსახურში უნდა იქნენ გაწვეულნი და ფრონტზე უნდა იბრძოდნენ. შემოწმებით გაირკვა, რომ ბევრ შემთხვევაში ასეთი „თანამშრომლები“ სამსახურებში არც დადიან, საკმარისია ხელფასი არ აიღონ, ან ხელმძღვანელებს დამატებითი ფული გადაუხადონ. „თეთრი ბილეთების“ მფლობელები 10-15 ათას დოლარს იხდიან, სამინისტროების ჩინოვნიკები და კომპანიების უფროსები კი ფულს ნიჩბებით ხვეტავენ! (ჩამოთვლილია კომპანიები COFCO Agri Resources, Тедіс-Україна და სხვები).

**„უკრაინაში სახეზეა პლუტოკრატიის უმაღლესი ფორმა – სიცოცხლე ფულზე იცვლება. კორუფციის საზარელმა ჰიდრამ უკრაინა მთლიანად შთანთქა“,** – წერს ავტორი.

შესაძლოა, ბევრს ჰგონია, რომ უკრაინაში დემოკრატიაა გამეფებული. მაგრამ განა კორუფციის დროს დემოკრატიაზე ლაპარაკი შეიძლება? ადამიანებს დევნიან, მათზე ძალადობენ და კლავენ. უკრაინა ტერორის სამეფოა (ჩამოთვლილია რიგი ფაქტები: ქალაქ კრივოი როგის ოპოზიციური მერის სიკვდილი, რომელსაც მმართველი პარტიის „ხალხის მსახურის“ წარმომადგენელი დაუპირისპირდა; ერთ-ერთი დეპუტატის სიკვდილი იმავე „ხალხის მსახურის“ ჩინოვნიკთან დაპირისპირების შემდეგ, რომელიც თვითმკვლელობად შეფასდა და საქმე „ჩაიფარცხა“... ამ საქმეებში ფიგურირებს პრეზიდენტ ზელენსკის ადმინისტრაციის ბირთვი).

**და ამ დროს ვოლოდიმირ ზელენსკის, კორუმპირებული ქვეყნის მეთაურს, ყოველთვის ხელგაშლით ხვდება ევროპის „სულელი სამეული“ – კირ სტარმერი, ემანუელ მაკრონი და ფრიდრიხ მერცი. საოცარია, რატომ არიან ისინი ჩაციკლულნი ვოლოდიმირ ზელენსკზე, რომელიც მათი მხარდაჭერით, ყველანაირ სამშვიდობო გეგმას უარყოფს? რატომ უჭერენ ისინი მხარს ტირანს და დიქტატორ ვოლოდიმირ ზელენსკის? კითხულობენ თუ არა ისინი „ნიუ-იორკ თაიმსს“ და „ვაშინგტონ პოსტს“?, ან „დეილი ტელეგრაფს“?**

„სამეულს“ ჰგონია, რომ აშშ-ის რესპუბლიკური პარტია მომავალი წლის შუალედურ არჩევნებში დამარცხდება, ამერიკელები უპირატესობას ისევ დემოკრატებს მიანიჭებენ, დონალდ ტრამპის დიპლომატიური გეგმები ჩაიშლება და აშშ ისევ უკრაინისაკენ შებრუნდება. მაგრამ სანამ ეს არ მომხდარა, მეგობრული „სამეული“ ცდილობს უკრაინას დახმარება გაუწიოს. ისინი ყურადღებას არ აქცევენ კორუფციას, ტერორს... **მათ არ აინტერესებთ იმ მდგომარეობის მიზეზი, რაშიც უკრაინაა ჩავარდნილი...**



მოამზადა
**სიმონ კილაძემ**


(მესამე გვერდიდან)

# „ოცნება“ კანონებს ამკაცრებს, ოპოზიცია ჩიხში შედის!

## ხელისუფლება კანონით ამკაცრებს პოზიციებს

**პერმანენტული ქუჩის მცდელობების საპასუხოდ, მმართველმა პარტიამ – „ქართულმა ოცნებამ“ ბოლო პერიოდში კიდევ უფრო გაამკაცრა კანონმდებლობა „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“.**

ძირითადი ცვლილებები შეეხო შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარების წესებს. ახალი რეგულაციები აწესებს დამატებით შეზღუდვებს საჯარო სივრცეებში შეკრებების ორგანიზებასთან დაკავშირებით, რაც მიზნად ისახავს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას და უკანონო ქმედებების პრევენციას. პასუხისმგებლობის ზომებს – გამკაცრდა სანქციები კანონის დამრღვევი აქციის მონაწილეების მიმართ, რაც ხელისუფლების სიმტკიცეზე მიუთითებს და ნათლად აჩვენებს, რომ უკანონო ქმედებები უპასუხოდ არ დარჩება.

ეს ნაბიჯები ხაზს უსვამს ხელისუფლების პოზიციას, ბოლომდე ბრძოლასთან დაკავშირებით, რომელიც მომავალშიც გაგრძელდება, ოღონდ კანონის ჩარჩოებში, რათა დაცული იყოს სახელმწიფოს სტაბილურობა.

## ყაველაშვილის მოწოდება

**ოპოზიციური აქტივისტი და ენმ-ის ყოფილი წევრი ნიკა ობოლაძე დიად საუბრობს იმაზე, რომ ოპოზიციის მიდგომამ არ გაამართლა და სტრატეგია გადასახედია:**

**„არსებობს ორი „ბოლომდე“ ბრძოლა... ივანიშვილი უფრო ახლოს არის მიზანთან, ვიდრე ჩვენ... დღეს მე ვხედავ, რომ არ გვაქვს სათქმელი, რომ „ხალხო, რევოლუცია მოვაწყოთ“; არ გვაქვს სათქმელი, რომ გრძელვადიან დემონტაჟს ვაკეთებთ“**, – თქვა მან.

ქუჩის აქციები ოპოზიციის ერთადერთ ბერკეტად რჩება არსებობის გამოსახატად, თუმცა მცირე რაოდენობა და ორგანიზებული პროტესტის სისუსტე ამ ბერკეტის პოლიტიკურ წონას ამცირებს. პრეზიდენტი მიხეილ ყაველაშვილი არ აპირებს ამ ეტაპზე ე.წ. „სინდისის პატიმრების“ შეწყალებას და მათ დანაშაულის აღიარებისკენ მოუწოდებს: **„იმ ადამიანებს, რომლებიც დღეს დაპატიმრებულები არიან და რომლებსაც „სინდისის პატიმრებს“ ეძახით, კონკრეტული დანაშაული აქვთ ჩადენილი... აღიარონ თავისი შეცდომები, ამის მიხედვით ვნახოთ, დავაკვირდებით მოვლენებს, რა და როგორ იქნება. მე დღეს ვერ და არ გაგცემთ პასუხს, რომ ვინმეს შევიწყალებ“**, – თქვა პრეზიდენტმა.

პრეზიდენტის პოზიცია ადასტურებს, რომ ხელისუფლება არ გეგმავს ზეწოლას დაემორჩილოს და მიიჩნევს, რომ ეს ადამიანები კანონის სრული დაცვით არიან პასუხისგებაში მიცემული.

## ბრძოლა „ქუჩისთვის“

**ბრძოლა ქუჩის კონტროლისთვის კვლავ აქტუალურია. ხელისუფლება კანონის გამკაცრებითა და პრეზიდენტის სიმტკიცით აჩვენებს, რომ მზად არის დაიცვას საზოგადოებრივი წესრიგი, ხოლო ოპოზიციას, მცირე მასშტაბის მიუხედავად, ქუჩის აქციების გაგრძელებაზე უარის თქმა უჭირს.**

ანალიტიკოსი, **რამაზ საყვარელიძე** მიიჩნევს, რომ ხელისუფლების მიერ პოლიტიკისა და კანონების გამკაცრების ტენდენცია პირდაპირი შედეგია ოპოზიციის ურყევი და ხისტი მიდგომისა. საყვარელიძე აცხადებს, რომ მმართველი გუნდის მიზანი ახალი კანონების შემოღებით ქაოსური ელემენტების მინიმუმამდე დაყვანაა. მისი თქმით, ეს არის ბუნებრივი რეაქცია იმ სტრატეგიაზე, რომელსაც ოპოზიცია წლებია იყენებს.

**„გამორიცხულია, რომ ღამის რუსთაველით ხელისუფლება შეცვალონ. ვხედავთ, ამ აქციებს არანაირი შედეგი არ აქვს. მიკვირს, აქამდე რატომ ვერ მივიდნენ დასკვნამდე, რომ ეს ხისტი მიდგომა არ ამართლებს. მე ამის ერთადერთი ლოგიკური ახსნა მაქვს, რომ ეს არის ოპოზიციის ამჟამინდელ სიჯიუტე. ვფიქრობ, მათ უცხოელი პარტნიორებისთვის ჩვენება უნდათ, რომ შეუპოვრები არიან და ბოლომდე იბრძვიან“,** – ამბობს ანალიტიკოსი.

საყვარელიძის შეფასებით, ოპოზიციისთვის ეს მხარდაჭერა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ვინაიდან მათ „ხალხის მხარდაჭერა არ აქვთ“. ამიტომ, ოპოზიციას ეს ხისტი მიდგომა მხოლოდ იმას მოუტანს, რომ უცხოელ პარტნიორებს შეინარჩუნებენ. ქვეყნის შიგნით არაფერს არ მოუტანს, ხელისუფლებას ვერ შეცვლიან.

**„მაგალითად, ავიღოთ გიორგი გახარიას გადაწყვეტილება, რომელმაც უარი თქვა პოლიტიკის ქუჩაში წარმოებაზე, რადგან ხელისუფლება არჩევნებით უნდა მოიპოვო. ამიტომ მგონია, რომ ამ ქუჩის აქციების მიზანი დასავლელი პარტნიორების შენარჩუნებაა. სხვა ლოგიკა უკვე ამ აქციების გამართვის აღარ ჩანს“,** – ფიქრობს **საყვარელიძე.**

ის ასევე ეჭვობს, რომ ოპოზიციას მართლაც აქვს აქციების მართვის უნარი, რადგან „აქციები დიდწილად ოპოზიციისგან დამოუკიდებლად მიდის“. ამასთან, საყვარელიძე აღნიშნავს, რომ ფაქტობრივად, ერთი წელია, ხელისუფლებაც დათმობაშია, მაგრამ ამან შედეგი არ გამოიღო.

**„ხელისუფლების მხრიდან ხისტი მიდგომები არ ამართლებს მხოლოდ მაშინ, თუკი მოსახლეობის დიდი ნაწილი ამ ხისტი მიდგომების წნეხის ქვეშ აღმოჩნდება. სწორედ ეს იწვევს ქუჩაში მასობრივ გამოსვლას და რევოლუციის დაწყებას, რისი სურვილიც დღეს ოპოზიციას აქვს, ხოლო მოსახლეობის დიდი ნაწილი ამ პროცესის მიმართ გულგრილია, მით უმეტეს, როდესაც არ აქვთ იმის განცდა, რომ ეს წნეხი უსამართლოა. ამიტომ, ბელარუსის მაგალითი თბილისზე ვერ გამოდგება“**, – განაცხადა ანალიტიკოსმა.

დასავლეთის პოლიტიკასთან დაკავშირებით, საყვარელიძე ამბობს, რომ ლუკაშენკოს მაგალითით, დასავლეთმა პოლიტიკა თავად შეცვალა, რამაც გაამართლა.

**„შეცვალეს ეს ტონი ლუკაშენკოსთან და შედეგიც მიიღეს. აქაც თუ შედეგი უნდათ, შეცვალონ ტონი და შეიძლება, მიიღონ იგივე შედეგი“**, – განაცხადა **საყვარელიძემ.**

თუმცა, ექსპერტი ეჭვობს, დასავლეთი ნამდვილად იყოს დაინტერესებული, რომ საქართველოსთან მიმართებით პოლიტიკა შეცვალოს.

**ლიკა ბერიკაშვილი**

## VI ნაწილი

**1944 წლის ოქტომბერი ვალენტინას მოგონებებში დარჩა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენის აღმნიშვნელი თარიღი – ერთმანეთს ხვდებოდნენ მაშინდელი მსოფლიოს უდიდესი ადამიანები: სტალინი და ჩერჩილი.**



ჩერჩილი და სტალინი, 1944 წელი, 9 ოქტომბერი

# სტალინი – გენიალური „დიქტატორი“

ბრიტანელი პოლიტიკოსი მოსკოვში იმ საკითხების განსახილველად ჩამოფრინდა, თუ როგორ უნდა დალაგებულიყო მსოფლიო წესრიგი ომის შემდგომ.

პირველი ვახშამი ვიწრო წრეში 9 ოქტომბერს გაიმართა. სტალინის და ჩერჩილის გარდა ვახშამს ესწრებოდნენ: მოლოტოვი, ენტონი იდენი (დიდი **ბრიტანეთის მაშინდელი პრემიერ-მინისტრი – მთარგ**.) და თარჯიმანი.

ჩერჩილი ხელიდან არ უშვებდა სიგარას ჭამის დროსაც კი, თამამად საუბრობდა და ტოვებდა აბსოლუტურად თავდაჯერებული ადამიანის შთაბეჭდილებას. სტალინი მის გვერდით გამოიყურებოდა უფრო თავდაჭერილად, მაგრამ ვალენტინა გრძნობდა, რომ მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ის, იოსებ ბესარიონოვიჩი, აკონტროლებდა სიტუაციას.

– მარშალო სტალინ, – დაიწყო ჩერჩილმა, ასწია სომხური კონიაკით სავსე ბოკალი და განაგრძო: ჩვენს გამარჯვებას გაუმარჯოს საერთო მტრის წინააღმდეგ!

– გაუმარჯოს! – დაეთანხმა სტალინი, – მაგრამ ჩვენ ვერაფერს გავხდებოდით, რომ არა საბჭოთა ხალხის თავდადება.

ამით ბელადმა ხაზი გაუსვა იმ დამსახურებას, რასაც ვერავინ განახორციელებდა ხალხის გარეშე – ომის მთელმა სიმძიმემ მათ ზურგზე გადაიარა.

ჩერჩილმა თავი ოდნავ ჩაღუნა, ჩაიღიმა და თქვა:

– რა თქმა უნდა, მაგრამ, დამეთანხმეთ, ჩვენი მარაგების გარეშე ლენდ ლიზის ფარგლებში (სახელმწიფო **პროგრამა, რომლის მიხედვითაც აშშ ამარაგებდა მოკავშირეებს შეიარაღებით, პროდუქტით და ა.შ. – მთარგ**.) ყველაფერი უფრო რთულად იქნებოდა.

– მადლობელი ვართ დახმარებისთვის, – თქვა სტალინმა და შეყოვნდა: – თუმცა თქვენმა პროგრამამ მოგვისწრო ცოტა დაგვიანებით, ომის მიმდინარეობიდან 2 წლის შემდეგ.

ასეთი ტიპის საუბრები გაგრძელდა მთელი საღამო – დიპლომატიური, თუმცა მინიშნებებით მიმდინარე დიალოგების ქვეტექსტები კარგად ესმოდა ბელადს და შემწყნარებლურად იღიმებოდა სტუმრის წინაშე. სტალინი არ იყო მიუხვედრელი და ბრიყვი, როგორიც ჩერჩილს სურდა, რომ ყოფილიყო.

**გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „სრ“ №139, 144, 146, 148, 154, 163, 165**

ორმა დიდმა ლიდერმა იმ საღამოს უბრალო ფანქრით გაავლეს ხაზი ევროპის რუკაზე.

– პოლონეთი? – იკითხა ჩერჩილმა.

– ჩვენი გავლენის სფეროა, – უპასუხა სტალინმა, – საბერძნეთი – თქვენი, იუგოსლავია – 50/50.

ვახშამზე ჩერჩილმა უსაზღვრო რაოდენობით სასმელი დალია – 18 სადღეგრძელო, ბოლომდე, თუმცა სიმთვრალე არ ეტყობოდა, მხოლოდ სახე გაულურჯდა და ლაპარაკის ხასიათზე მოვიდა.

– იცით, მარშალო, – თქვა მან და მორიგი სიგარა გააბოლა, – ჩვენ ერთმანეთს ვგავართ, ორივე პრაგმატული ადამიანები ვართ, ორივეს გვესმის, რას ნიშნავს ძალაუფლება.

– მაინც რაში ხედავთ მსგავსებას? – დაინტერესდა სტალინი.

– ორივემ ვიცით, მიზნის მისაღწევად ყველა საშუალება დასაშვებია. თქვენ დახვრიტეთ ოპოზიციონერები, მე – შიმშილით გავანადგურე ინდოეთი, თუმცა ჩვენ ისტორია მაინც გაგვამართლებს.

სიჩუმე ჩამოწვა.

ასეთ გულახდილობას ბრიტანელისგან არავინ ელოდა.

სტალინმა ნელ-ნელა მოქაჩა ჩიბუხი.

– განსხვავება იმაშია, სერ უინსტონ, – თქვა იოსებ ბესარიონოვიჩმა, – რომ მე ვაშენებ ახალ სამყაროს, თქვენ კი ცდილობთ, შეინარჩუნოთ ძველი.

– ვნახოთ, რომლის გეგმა აღმოჩნდება უფრო უკეთესი... – უპასუხა ჩერჩილმა.

მომდევნო დღეს დიდი მიღება გაიმართა.

ბრიტანელი პოლიტიკოსი კმაყოფილი ჩანდა, ყვებოდა ანეკდოტებს, ეცადა, სადღეგრძელო რუსულად წარმოეთქვა და თუმცა ეს არცთუ კარგად გამოუვიდა, მაინც ყველამ დიპლომატიურად დაუკრა ტაში.

მიღებაზე ვალენტინამ უცნაური დეტალი შეამჩნია: ჩერჩილი ძალიან ხშირად ინიშნავდა რაღაცებს ბლოკნოტში, სადღეგრძელოების დროსაც კი აკეთებდა ჩანიშვნებს ისე, რომ ბლოკნოტს ოსტატურად აფარებდა ხელსახოცს. ერთ-ერთი სადღეგრძელოს შემდეგ ბრიტანეთის პრემიერს ხელსახოცი იატაკზე დაუვარდა და ვალენტინამ აშკარად დაინახა ინგლისურ ენაზე გაკეთებული ჩანაწერი: **„ის ბლეფს თამაშობს პოლონეთის ხარჯზე“**.

ოფიციანტს თითქოს არაფერი დაუნახავს, წყნარად დაიხარა და ხელსახოცი ჩერჩილს მიაწოდა.

ბრიტანელი ყურადღებით დააკვირდა ვალენტინას და ზრდილობიანად დაუქნია თავი. ეტყობოდა, ფიქრობდა, რომ ოფიციანტმა არ იცოდა ინგლისური; მაგრამ ყველაზე საინტერესო შემთხვევა მოხდა ვიზიტის ბოლო დღეს.

კარგად შეზარხოშებული უინსტონ ჩერჩილი უცებ საიდუმლო იარაღზე ალაპარაკდა.

– მალე, ძალიან მალე, – მიმართა მან სტალინს, – ჩვენ გვექნება ბომბი, რომელიც შეცვლის ყველაფერს – 1 ბომბი – 1 ქალაქი.

სტალინმა მდუმარედ, სახის გამომეტყველების შეუცვლელად, მოქაჩა ჩიბუხი, მაგრამ ვალენტინამ შეამჩნია, რომ ბელადმა თითები მაგრად მოუჭირა ჩიბუხის ტარს და მშვიდად თქვა:

– საინტერესოა.

– სულ ერთი თვის საქმეა, – განაგრძო ჩერჩილმა.

აშკარად ეტყობოდა, კმაყოფილი იყო ახალი იარაღის ეფექტურობით.

– იაპონია პირველი გაიგებს ამის შესახებ, – დასძინა მან და განაგრძო: – შემდეგ? შემდეგ, ვნახოთ, ვინ იქნება ჩვენი მეგობარი და ვინ – მტერი.

ეს იყო დაუფარავი მუქარა.

მოლოტოვი გაფითრდა, მაგრამ სტალინს გაეღიმა:

– გმადლობ გაფრთხილებისთვის, სერ უინსტონ, გავითვალისწინებთ.

ჩერჩილის გამგზავრების შემდეგ სასტუმრო „მოსკოვში“, მის ნომერში, საქაღალდე იპოვეს, რომელიც დამალული იყო გათბობის ბატარეის უკან. საქაღალდეში აღმოჩნდა მოლაპარაკებების დეტალური გეგმა, რომელშიც ყოველი პუნქტის გასწვრივ შენიშვნები იყო გაკეთებული: დავეთანხმები! ვივაჭრებ! არავითარ შემთხვევაში არ დავეთანხმები! მაგრამ ყველაზე საინტერესო მაინც იყო ქაღალდის ფურცელი, რომელზეც ციფრები და გაუგებარი ფორმულები იყო ჩამოწერილი. ეს საბჭოთა ფიზიკოსებისთვის, რომლებიც ატომურ პროექტზე მუშაობდნენ, შეუფასებელი ინფორმაცია აღმოჩნდა.

ჩერჩილის ნომერში ნაპოვნ ბრიტანეთის დაზვერვის ორგანიზაციის სქემა – MU6-ს საბჭოთა დაზვერვა სხვადასხვა ხერხით 3 წელი ეძებდა. სქემა დაშიფრული იყო, როგორც უწყინარი სასიყვარულო წერილი. კოდი გახსნეს მხოლოდ ერთი თვის შემდეგ, მაგრამ ბრიტანელებს უკვე ყველაფერი რეორგანიზებული ჰქონდათ.

მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ჩერჩილმა ეს საქაღალდე ნომერში სპეციალურად დატოვა – მისი პირადი მდივანი გაი ბერჯესი საბჭოთა დაზვერვის აგენტი გახლდათ. ბრიტანელმა ლომმა „უტკა“ შემოაგდო, ვითომდა არაფრის აზრზე არ იყო.

მოამზადა
**ირანდა კალანდაძემ**

(გაგრძელება იქნება)

# დღეს თუ რუსეთს არ დაელაპარაკები...

(მეხუთე გვერდიდან)

**გრიგოლ გეგელია, „ძლიერი საქართველოს“ წევრი** კი მიიჩნევს, რომ ივანიშვილის გუნდი „აშხაბადით ცდილობს ჩაანაცვლოს ნამდვილი სტრატეგიული პარტნიორები“. მისი თქმით, კობახიძეს სურს შექმნას ალტერნატიული ლეგიტიმაციის წყარო იმ ფონზე, როდესაც ევროპული კავშირის ლიდერები მასთან შეხვედრას ერიდებიან.

## „ნაციონალური მოძრაობის“ წარსული და ომის წახალისება

მმართველი გუნდის წარმომადგენლები ოპოზიციის ბრალდებებს წარსულის შეხსენებით პასუხობენ და „ნაციონალურ მოძრაობას“ ორმაგ სტანდარტებსა და რუსეთთან კავშირებში ადანაშაულებენ.

**ნინო წილოსანი, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე,** აცხადებს, რომ „ქართველი ხალხი აღარ მოტყუვდება“. ის ახსენებს, რომ 2003 წელს, გარედან „შემოტენილი მარიონეტი“ ხელისუფლება მოვიდა, რომელიც გარედაკვეთებს ასრულებდა.

**„მიხეილ სააკაშვილს ერთ შემთხვევაში შეეძლო წარმატებით ეგინებინა პუტინისთვის და მეორე შემთხვევაში წითელი ხალიჩა გაეშალა და ბედნიერი სახით მიეღო ინვესტორები, სტრატეგიული ობიექტები მიეყიდა მათთვის“,** – აცხადებს **წილოსანი.**

**გიორგი ვოლსკი, პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე** კი „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებისა და წევრების რუსეთთან კავშირების ამსახველ ვიდეო-კოლაჟს ეხმაურება და ხაზს უსვამს, რომ **„ბიჭების გვამები არ იყო ჯერ გაციებული, როდესაც უკვე რუსეთთან სიტუაციას ალაგებდნენ. სტრატეგიული ობიექტების მიყიდვა და ოკუპირებისთვის ხელის შეწყობა მძიმე სურათია“,** – ამბობს **ვოლსკი.**

**ლევან მაჭავარიანი, „ქართული ოცნების“ ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე** კრიტიკული აზროვნებისკენ მოუწოდებს მათ, ვისაც „დააჯერეს, რომ „ნაცი“ „პროდასავლელია“ და ავრცელებს ვიდეო-კოლაჟს მათი რუსული ინტერესების შესახებ.

ამ არგუმენტების ფონზე, მმართველი გუნდის პოზიციაში ნათლად ჩანს სააკაშვილის ხელისუფლების მიმართ კრიტიკა რუსეთთან ურთიერთობის დალაგების მცდელობებზე (მაგ. უვიზო რეჟიმი რუსეთის მოქალაქეებისთვის, კულტურის დღეების გამართვა, სტრატეგიული ობიექტების გასხვისება) 2008 წლის ომის შემდეგ.

## დიალოგი ოკუპანტთან?

საერთაშორისო ურთიერთობების ანალიტიკოსი **თამარ კიკნაძე FOR.GE**-თან აცხადებს, რომ ოპოზიციის რუსეთთან არშეხვედრის რიტორიკა და დიალოგის უარყოფა ყავლგასულია.

**„მსოფლიოში უკვე ისეთი პროცესები მიმდინარეობს, რომ დღეს თუ რუსეთს არ დაელაპარაკები, შესაძლოა, მერე უკვე ძალიან გვიან იყოს. ვხედავთ, რომ ამერიკასა და რუსეთს შორის ურთიერთობების აღდგენა ხდება. მსოფლიო ახალი გადანაწილების პროცესშია და სწორედ ამას ვადევნებთ თვალს უკრაინაში. ამიტომ, აუცილებელია, საქართველო რუსეთს დაელაპარაკოს და ყველა იმ ფორმატში მიიღოს მონაწილეობა, რომელიც რეგიონულ ფორმატში მიმდინარეობს.**

**შესაბამისად, ოპოზიციის განცხადებები სრულიად მოძველებული და არაფრის მომცემია. იმ პოლიტიკამ, რასაც წლების განმავლობაში, „ნაციონალები“ და მათი ლიდერი მიხეილ სააკაშვილი, რუსეთთან აწარმოებდნენ, არავითარი შედეგი არ მოიტანა. გარდა იმისა, რომ მოხდა კიდევ ერთი ომი და საქართველომ იმაზე მეტი ტერიტორია დაკარგა, ვიდრე დაკარგული ჰქონდა. ასევე, მათი მმართველობის დროს მოხდა ე.წ. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება. შესაბამისად, ის ხალხი, რომელიც წლების განმავლობაში ამძიმებდა ოკუპაციას და უმძიმესი შედეგი მივიღეთ, ვერავის ვერც ასწავლის და ვერც მიუთითებს, რუსეთთან რა პოლიტიკა უნდა ჰქონდეს“,** – ამბობს ანალიტიკოსი.

მისივე თქმით, საქართველოს პრობლემების მოგვარების გასაღები რუსეთშია და სწორედ მასთან უნდა დაიწყოს ხელისუფლებამ დიალოგი, რათა გავიგოთ, რაზეა რეალურად მოსკოვი წამომსვლელი.

**„მე მივესალმები, თუ დაელაპარაკება კობახიძე პუტინს. ბევრი აჟიოტაჟია ატეხილი, თუ რატომ წავიდა კობახიძე აშხაბადში და რა დატვირთვა ჰქონდა ამას. დიახ, ასეთი რეგიონული შეხვედრები აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. ამ პერიოდის განმავლობაში, რა გააკეთეს ჩვენმა პარტნიორებმა იმისთვის, რომ ეს გაყინული პროცესი დაძრულიყო? ვინმე რამეში დაგვეხმარა? კი, ბატონო, არაღიარების პოლიტიკით, მაგრამ სხვა კუთხით პროცესი რამე დაიძრა?“**

ჩვენს კითხვაზე, ხედავს თუ არა რუსეთის მხრიდან მზაობას მოლაპარაკებების დაწყებასთან დაკავშირებით, ანალიტიკოსი ამბობს, რომ რატომაც არა, საქართველო რეგიონში საკვანძო ქვეყანაა. განსაკუთრებით კი კავკასიაში, ამიტომ რუსეთის ინტერესებშიც შედის საქართველოსთან ურთიერთობების დარეგულირება.

**„იმ ფონზე, როცა რუსეთს აზერბაიჯანთან და სომხეთთან ურთიერთობები გაუფუჭდა, ასევე, უკრაინის ომის პირობებში მას დერეფანი სატრანზიტო გზის სახით ძალიან სჭირდება. რატომ არ უნდა იყოს დაინტერესებული საქართველოსთან ურთიერთობის დალაგებით? გასაგებია, რომ დასავლეთისკენ გვაქვს კურსი აღებული, მაგრამ რატომ უშლის ეს ერთმანეთს ხელს იმაში, რომ რუსეთთან ურთიერთობა დალაგდეს?**

**ჩვენნაირ პატარა ქვეყანას სხვა რა გამოსავალი აქვს? ამიტომ, ეს შანსი რომ გამოვიყენოთ, ამაში საგანგაშო რა არის?“,** – ამბობს ანალიტიკოსი.

**ლიკა კახეთელიძე**

საქართველოს რესპუბლიკა
სპორტი
№166. ოთხშაბათი, 17 დეკემბერი, 2025 წელი



# კლოდ სორელის ნაკვალევზე

**54 წლის ინგლისელმა სპეციალისტმა რიჩარდ ქოქრილმა ორწლიანი მოღვაწეობის შემდეგ საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და „შავი ლომის“ მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა.**

როგორც ცნობილი ფრანგული გამოცემა Lequipe-ი იტყობინება, რიჩარდ ქოქრილის ადგილს ფრანგი სპეციალისტი **ფრენკ აზემა** დაიკავებს. მხარეებს შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობს და ყველაფერი მალე გაირკვევა. წყარო იმასაც წერს, რომ თავდაპირველად საქართველოს რაგბის კავშირი მოლაპარაკებებს „ბრივის“ მთავარ მწვრთნელ **პიერ-ანრი ბრონკანთან** აწარმოებდა, თუმცა ეს გარიგება ჩაიშალა.

რაც შეეხება **ფრენკ აზემას,** ის კარიერის განმავლობაში „ტულონს“, „კლერმონს“ და ბოლოს „პერპინიანს“ წვრთნიდა. აღსანიშნავია, რომ „კლერმონი“ მისი ხელმძღვანელობით 2017 წელს საფრანგეთის ტოპ 14-ის გამარჯვებული გახდა.

# სჯობს გვიან...

**UFC-ის** მსუბუქი დივიზიონის ჩემპიონი **ილია თოფურია** სოციალურ ქსელში ვრცელ პოსტს ავრცელებს, სადაც მის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით წერს. ილიას თქმით, ბოლო პერიოდში არაერთი მუქარის, ბრალდებისა და შანტაჟის შეტყობინებები მიიღო.

**„როგორც იცით, ბოლო კვირების განმავლობაში დროებით მომიწია ჩემი ტიტულის დაცვაზე უარის თქმა, რაც, როგორც წარმოგიდგენიათ, ადვილი გადაწყვეტილება არ ყოფილა. მაგრამ როდესაც ცხოვრება ისეთ სიტუაციებს გიქმნის, რომლებიც საფრთხეს უქმნის თქვენს სიმშვიდეს, ოჯახს და რეპუტაციას, დგება დრო, როდესაც წინ უნდა გადადგა ნაბიჯი.**

**ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში აუტანელ სიტუაციებსა და ზეწოლას გავუძელი, მათ შორის მუქარას, რომ გავრცელებული იყო უსაფუძვლო ბრალდებები არასათანადო მოპყრობის შესახებ, რომლებიც მხოლოდ ფულის სანაცვლოდ გაქრებოდა, მაგრამ სიმართლეს მხოლოდ ერთი გზა აქვს: ფაქტები.**

**ყველა მათგანი იდეალურად არის დოკუმენტირებული – აუდიოჩანაწერები, შეტყობინებები, ჩვენებები და ვიდეოები – და სასამართლოში გადადის სამართლებრივი რეაგირებისთვის, არა მხოლოდ გამოძალვის მცდელობისთვის, არამედ მტკიცებულებების გაყალბებისთვის, ფულისა და პირადი ნივთების ქურდობისთვის და ყველა იმ მუქარისთვის, რაც კი მიმიღია.**



**ვცადე ჩუმად ვყოფილიყავი, რათა დამეცვა ჩემი შვილები, რომლებიც ჩემი ცხოვრების საყრდენები არიან, მაგრამ მივხვდი, რომ დუმილი აღარ არის დაცვა: ის ტყუილების გამრავლების საშუალებას იძლევა“.**

# ელიტურ ათეულში

**ისტორიაში პირველად, ყველაზე პრესტიჟულ – გუნდურ ტურნირში საქართველოს ნაკრები რჩეული ათეულის შემადგენლობაში ისრიალებს 2026 წლის მილანის ფიგურისტთა ზამთრის ოლიმპიადაზე 6-8 თებერვალს და მედლებისთვის იბრძოლებს აშშ-ს, კანადის, იტალიის, ჩინეთის, იაპონიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, სამხრეთ კორეისა და პოლონეთის გუნდების წინააღმდეგ.**

ასევე პირველად, ინდივიდუალური პროგრამის ოთხივე დისციპლინაში გვეყოლება წარმომადგენლები 9-19 თებერვალს, რაც მხოლოდ აგრეთვე აშშ-მ, კანადამ, იტალიამ და ჩინეთმა მოახერხეს.

### საქართველოს ნაკრები

**ნიკა ეგაძე, ანასტასია გუბანოვა** (ერთეულები), **ლუკა ბერულავა-ანასტასია მეტელკინა** (სპორტული **წყვილები)**, **დიანა დევისი-გლებ სმოლკინი** (სპორტული ცეკვები).

და კვლავ პირველად – ფორუმის მსაჯები იქნებიან **სალომე ჩიგოგიძე, ნადეჟდა ფიოდოროვა** და **ელენე ხმიზენკო.**

# ფალავანთა ფალავანი

**საქართველოს სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით და საქართველოს ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ორგანიზებით გორში გაიმართა ქართულ ჭიდაობაში საქართველოს აბსოლუტური ფალავნობა.**

2025 წლის აბსოლუტური ფალავანი **გიორგი ჩაგელიშვილი** გახდა, **საბა ინანეიშვილი** – ვიცე-ჩემპიონი, ბრინჯაოს მედალი კი **ნიკა სიდამონიძემ** მოიპოვა.

გამარჯვებულები ასევე გამოვლინდნენ 80, 90 და +100 კილოგრამ წონით კატეგორიებში.

80 კგ წონითი კატეგორიის ოქროს მედალს **დავით გოდერძიშვილი** დაეუფლა, 90 კგ წონითი კატეგორიაში – **სოსო ებილაშვილი,** ხოლო + 100 კგ წონითი კატეგორიის ჩემპიონობა **საბა ინანეიშვილმა** იზეიმა.

# მერცხალი ისევ მოიყვანს გაზაფხულს



**ამ სტატიას ავტორი მადლიერების ნიშნად უძღვნის თავის უახლოეს ნათესავსა და უფროს მეგობარ-მასწავლებელს, მახარაძელთა ნახევარდაცვის ბურჯსა და გუნდის კაპიტანს, საქართველოს ჩემპიონსა და თასის მფლობელს, აწ გარდაცვლილ მის დიდ მოამაგეს პაპუნა ნემსაძეს, რომელიც მერცხალში 1967-1975 წლებში თამაშობდა.**

**როგორც ცნობილია, ქართული ფეხბურთის აკვანი კოლხეთში დაირწა, მაგრამ, საამაყო ტრადიციებით ფოთელთა მეზობელი გურულებიც გამოირჩევიან.**

როგორც ირკვევა, ზოგ-ზოგიერთთაგან განსხვავებით, მათ არც სასახელო თარიღების აღნიშვნა ეშლებათ, რაშიც ახლავე კიდევ ერთხელ დაგარწმუნებთ.

მაშ ასე – დაგვეთანხმებით, საუკუნოვანი იუბილე ისეთი მოვლენა გახლავთ, მიყურისძირება რომ არ ეკადრება. ჰოდა, ამ დღეებში ბევრისათვის მისაბაძი მაგალითით შესანიშნავი საჩუქარი მივიღე გულშემატკივრისთვის სამაგიდო, დაახლოებით 500(!)-გვერდიანი, თამამად შეიძლება ითქვას, აკადემიური დატვირთვის ფუნდამენტური წიგნის სახით „მერცხალი ისევ მოიყვანს გაზაფხულს“ (ოზურგეთის ფეხბურთი – 100). კრებული გამომცემლობა მერიდიანში დაიბეჭდა და გამოიცა ბატონ **ზაზა მდინარაძის** ფინანსური დახმარებით (კორექტურა: **ლია ჭეფხოძე**, დიზაინერი: **გიორგი ჩიქვინიძე,** მხატვარი: **რევაზ ჯაში)**.

ვფიქრობთ, მოვიდა დრო იმ ტიტანური შრომის ავტორთა ტრიოც წარმოგიდგინოთ, პირნათლად რომ მოიხადეს ადამიანური და პროფესიული ვალი მშობლიური რაიონის წინაშე.

**ალექსანდრე ქურდობაძე** – 1985 წლიდან მოყოლებული, ჩვენმა ძვირფასმა კოლეგამ უამრავი სტატიითა და სპორტის სხვადასხვა სახეობებისადმი მიძღვნილი აქტუალური წიგნებით მიიპყრო მკითხველის ყურადღება (ფეხბურთი, რაგბი, რომელსაც ერთ დროს თავადაც თამაშობდა, და ჭადრაკი), 2018 წელს კი 600-გვერდიანი ფუნდამენტური ნაშრომისთვის „ქართული ფეხბურთის ქრონიკები“ დაჯილდოვდა სსჟა-ს **ნოდარ გუგუშვილის** სახელობის პრემიით. შარშან მისი ინიციატივით ჩამოყალიბდა და დაფუძნდა ქართული ფეხბურთის ისტორიკოსთა და კოლექციონერთა კავშირი.

**ხარიტონ ჩხატარაშვილი** – მახარაძელი კოლორიტი 1982 წლიდან მერცხალშია, ჯერ როგორც მოთამაშე, შემდეგ როგორც მთავარი მწვრთნელი.

**ნუგზარ ასათიანი** – საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის გურიის რეგიონული სამმართველოს ყოფილი უფროსი უკვე 40 წელზე მეტია ეწევა ჟურნალისტურ მოღვაწეობას. 1989 წელს გამოსცა ოზურგეთში ფეხბურთის განვითარების ამსახველი ცნობარი, ხოლო პირველი ეროვნული ჩემპიონატის დროს იყო საქართველოს რადიო-ტელევიზიის სპორტული მიმომხილველი და გაზეთ ლელოს რეგიონული კორესპონდენტი.

**ცოტა რამ ისტორიიდან:** მერცხალი დაარსდა 1936 წელს და სხვადასხვა დროს გამოდიოდა ნაკრების, დინამოს, კოლმეურნეს, სიხარულის და ანაკოს სახელით. თამაშობს მეგობრობის სტადიონზე (3500 ადგილი).

**ტიტულები:** საქართველოს სსრ 3-გზის ჩემპიონი და 3-გზის თასის მფლობელი. სსრკ მეორე ლიგის ზონალური ტურნირის ჩემპიონი და ოქროს თავთავის საკავშირო პრიზის მფლობელი. კოლმეურნეს რესპუბლიკური საბჭოს ჩემპიონი და შოთა შავგულიძის სახელობის თასის მფლობელი.






და ბოლოს: პირდაპირ, გაოცდები კაცი, როგორი რუდუნებითაა მოძიებული ძველი სპორტული მოვლენების ამსახველი საინფორმაციო მასალების დეფიციტის პირობებში თითოეული საინტერესო ცნობა, მონაცემი თუ სტატისტიკური მარგალიტი. საილუსტრაციოდ მხოლოდ თემატიკის ნაწილს დავასახელებთ: **აღზევება პირველ ჯგუფში, პირველად უძლიერესებში, ერთი ნაბიჯით წინ, პირველი მედლები, საკუთარი ადგილის ძიებაში, პირველი ფინალი, ისევ ფინალში, თასი მახარაძეში მიემგზავრება, თასი მახარაძეს არ ტოვებს, პირველად ოლიმპზე, მოთამაშეთა, მსაჯთა და მწვრთნელთა სრული ნუსხა, დიდ სამამულო ომში დაღუპულ მახარაძელ ფეხბურთელთა გვარები...**

**გია პლატონიშვილი**

# აწმყოც, მომავალიც

**უკვე გაუწყეთ, რომ კრივის ახლადშექმნილმა მსოფლიო ფედერაციამ თავისი სადებიუტო ჩემპიონატი სექტემბერში ლივერპულში ჩაატარა და იქ 65 კილოში ბრინჯაოს მედალს ლაშა გურული დაეუფლა.**

კიდევ უფრო წარმატებით იჩხუბეს ჭვაროსნებმა კრივის საერთაშორისო ფედერაციის ორგანიზებით დუბაიში 100-ზე მეტი ქვეყნის 400-ზე მეტი წარმომადგენლის მონაწილეობით გამართულ პლანეტის 23-ე ფორუმზე, რომლის საპრიზო ფონდიც 8,32 მილიონი დოლარი გახლდათ (**ოქრო** – 300 ათასი, **ვერცხლი** – 150 ათასი, **ბრინჯაო** – 75 ათასი). აღსანიშნავია, რომ ამ სოლიდური ბონუსის ნახევარი თვით მოკრივეს, ხოლო 25-25 პროცენტი მწვრთნელსა და ფედერაციაზე გადანაწილდა.

საბოლოოდ რინგზე გასული 4 ჩვენებურიდან მე-3 პრიზიორები გახდნენ **გიორგი ყუშიტაშვილი** (86 კგ) და **სახილ ალახვერდოვი** (48 კგ), რაც, დაგვეთანხმებით, მისაღები შედეგია.

ამასობაში გერმანულ კინზაუმში მიმდინარე 17-წლამდელთა ევროპირველობაზე 2-2 ბრძოლის მოგებით სულ მცირე ბრინჯაოს პრიზიორობა გაინაღდეს **რატი ხარბედიამ (46 კგ), შალვა ბერიძემ (48 კგ), ზაზა მდინარაძემ (52 კგ), ალექსანდრე გალაძემ (80 კგ)** და **ჰასან აკპირანმა (+80 კგ).**

# მიმზიდველია, მაგრამ...

**ამ ბოლო დროს სულ უფრო აქტიურად ვრცელდება ხმები იმის შესახებ, რომ 2027-2028 წლების სეზონში ნავარაუდევია ახალი მასშტაბური ტრანსნაციონალური პროექტის – ნბა ევროპის სრულფასოვანი სტრუქტურის სტარტი, რომელიც ამერიკული ლიგის ანალოგიური იქნება.**

უკანასკნელი ინფორმაციით, ინტეგრირებული ტურნირის მონაწილე 16 ევროგრანდიდან 12 მუდმივი წევრი იქნება, ხოლო 4, რომელიც კვალიფიკაციას გაივლის.

ბუნებრივია, გათვალისწინებულია ადაპტირების ფაქტორიც, რის გამოც დებიუტანტებმა თავიდან შეიძლება ითამაშონ გასახურებელ სპარინგებში ნბა-ს ბობოლებთან.

შემდეგი საფეხურია ევრორჩეულთა წვდომა ნბა-ს თასზე, ხოლო შორეული პერსპექტივა გულისხმობს ნბა-ს სრულფასოვანი ევროპული დივიზიონის ჩამოყალიბებას.

რასაკვირველია, ელიტაში ინვესტიციებიც შესაბამისი მოიაზრება – ფრენჩაიზის ღირებულება ალბათ 500 მილიონ დოლარს მიაღწევს, რაც ავტომატურად გამორიცხავს კლუბებს მსხვილი სტრატეგიული პარტნიორების გარეშე, ანუ რისკ-ფაქტორს.

რაც შეეხება მისაწვევთა ვარიანტებს, ფიგურირებენ გუნდები ლონდონიდან, პარიზიდან, მადრიდიდან, ბარსელონადან, მილანიდან, ათენიდან, სტამბოლიდან და მანჩესტერიდან, კონკრეტულად კლუბებიდან კი უპირატესობა ენიჭებათ რეალს, ბარსელონას, პსჟ-ს, მილანს, სიტის, ალბას, პანათინაიკოსს, ოლიმპიაკოსსა და ლიონს (პრეზიდენტი – **ტონი პარკერი)**.

ხსოვნის სავანე

**თბილისქალაქის დიდუბის პანთეონი – ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის ქართული სულის მარადიული უკვდავების სავანე. ამ წმინდა ძვალთშესალაგში ქართული მწერლობის, ხელოვნების, მეცნიერების, კულტურის ესქსასზე მეტი კორიფე განისვენებს.**

# „დიდუბის პანთეონი“ – წინ, წინაპრებისკენ!




პანთეონს ამშვენებს: **ი. ნიკოლაძის, ნ. კანდელაკის, მ. ბერძენიშვილის, შ. მიქატაძის, მ. მერაბიშვილის, ვ. დავითაიას, თ. ღვინიაშვილის, ვ. თოფურიძის, ო. ფარულავას, გ. კორძახიას, ზ. წერეთლის, გ. პაპინაშვილის, ნ. შავგულიძის, გ. შხვაცაბაიას, გ. ჯაფარიძის, ბ. ციბაძის, დ. გაბაშვილის, თ. ცხრაკბილაშვილის, გ. ავსაჯანიშვილის, კ. ქორიძის** და სხვათა სკულპტურულ-არქიტექტურული ნამუშევრები.




წელს, ხელმეორედ, განახლებული ვარიანტით, გეგა ქუთათელაძის დიზაინით, საკმაოდ სქელტანიანი, მაღალპოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული ხსოვნის სავანე – „დიდუბის პანთეონი,“ გამოჩენილი მხატვრის ზურაბ წერეთლის ოჯახის მხარდაჭერით გამოიცა.

წიგნის სამზეოზე გამოსვლაში, მართლაცდა ტიტანური შრომა გასწია ცნობილმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ, საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარემ ბადრი ქუთათელაძემ. იქვე, იგი გულდამძიმებული დასძენს:

**„უბის წიგნაკს სინანულის ცრემლი ახლავს!..**
**გამოაკლდა, ეს, რამდენი გამოაკლდა...**
**თუ გადავწერ, ან შევავსებ ფურცლებს ახლით,**
**არ გადავშლი, მე თქვენს გვარებს არ გადავშლი!..“**

მაინც რამ შთააგონა წიგნის ავტორს ესოდენ მნიშვნელოვანი ჩანაფიქრის აღსრულება? მოვუსმინოთ მას:

„დიდუბის პანთეონზე წიგნის შექმნა სიყვარულმა გადამაწყვეტინა, იმ სიყვარულმა, რომელიც აუცილებელია წინაპრების მიმართ...

ქართველი კაცის მზერა მარადიულად უნდა იყოს მიპყრობილი „ვეფხისტყაოსნისკენ“ და იქიდან უნდა ისრუტავდეს იმ იგავმიუწვდომელ სიბრძნეებს, რომლებმაც იავარქმნისაგან გადაარჩინა ქართველი ერი და დღევანდლამდე მოიყვანა. შოთა რუსთაველი გვეუბნება: „არდავიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა!..“ და ჩვენც ამ შეგონებით ვისარგებლეთ.

ღირსეული წინაპრების მიერ გაკვალული გზა ფიანდაზად ეგება ქართველ კაცს და შთამომავლობაც ვალდებულია, დააფასოს მათი ღვაწლი და შემოქმედება ჩვენი ერის წინაშე. ჩვენც ვიშრომეთ მათი სახელების უკვდავსაყოფად, რათა ჩავიხედოთ ამ წიგნში და კიდევ ერთხელ პატივი მივაგოთ მათ ხსოვნას... თუ როგორ გამოგვივიდა ეს, თქვენი შესაფასებელია...

მოგვიტევეთ, თუ რამ შეგვეშალა...
ღმერთმა ნათელში ამყოფოს მათი სულები!
მაშ ასე, წინ, წინაპრებისკენ!..“

„დიდუბის პანთეონის“ შევსებული გამოცემა ოკუპირებული ცხინვალის რეგიონიდან დევნილებისთვის ორმაგად საამაყოა, რამეთუ მასში შესულია ჩვენი ჭეშმარიტი თანამემამულე, ლიახვისპირელი მწერალი, დრამატურგი და მოძღვარი **მერაბ აბელის ძე ელიოზიშვილი**, რომელიც 2017 წლიდან ივერიელთა სამკვიდროს სასიქადულო მამულიშვილთა პანთეონის ბინადარია.

**როზერტ ოდიკაძე**

# წმინდა დიდმოწამე ბარბარე



**17 დეკემბერს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დიდმოწამე ბარბარეს იხსენიებს. წმინდა დიდმოწამე ბარბარე სხვა რამდენიმე წმინდანთან ერთად, ერთ-ერთი გამორჩეულად საყვარელი წმინდანია ქართველი ხალხისა. ასეთი გამორჩეულობა შესაძლოა მის არამარტო ღვთიურ, არამედ იმ ადამიანურ ხასიათსაც მიეწერება, რომელიც ახლოსაა ჩვენს, ქართულ ხასიათთან...**

წმინდა ბარბარე ქალაქ ილიოპოლში დაიბადა. მამამისი მდიდარი წარმართი იყო, სახელად – დიოსკორე. ქალწული ღვთაებრივად მშვენიერი იყო და ადრე დაქვრივებულმა მამამ გადაწყვიტა, ერთადერთი შვილი გარეშე თვალთაგან ფარულად აღეზარდა. მიუვალ ადგილას გამომწყვდეული გოგონა დაფიქრდა სამყაროს შექმნის საიდუმლოებაზე და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სამყაროს უეჭველად ერთი შემოქმედი უნდა ჰყოლოდა. როდესაც გათხოვების დრო დაუდგა, უამრავ მთხოვნელს უარი უთხრა. მამამ იფიქრა გოგონა ეულად აღზრდამ გულჩათხრობილი გახადაო და თავისუფლება მისცა... ამასობაში ილიოპოლელმა ხუცესმა გოგონა მონათლა.

როდესაც დიოსკორემ აბანო ააგო და მისთვის 2 ფანჯრის გამოჭრა ბრძანა მზისა და მთვარის თაყვანისცემის ნიშნად, ბარბარემ მესამე სარკმელიც დაამატებინა – სულიწმინდაც ანათებსო დედამიწას. ამის გამგონე მამამ ასულზე მახვილი აღმართა... ბარბარე სახლიდან გაიქცა და კლდეს შეაფარა თავი, მაგრამ მალე მწყემსებმა იპოვეს. დიოსკორეს ბრძანებით სიკვდილით დასასჯელად ქალაქის მმართველს მიჰგვარეს... ნაიარევით დაწყლულებული ბარბარე ღამით თვით მაცხოვარმა განკურნა წყლულებისაგან! კვლავ გადაწყვიტეს მისი დასჯა, როდესაც ბარბარემ ლოცვა დაასრულა, ციდან ანგელოზის ხმა გაისმა...

ბარბარე სიხარულით აღივსო და მამას უთხრა, რომ ახლა შეეძლო მისთვის თავის მოკვეთა. განრისხებულმა მამამ ქალიშვილს თავი მოჰკვეთა. იმავ წამს მას საშინელი ცეცხლი დაატყდა ციდან და ადგილზევე განგმირა.

**გიული ლიპარტია**

# ნარკოდანაშაულის ბრალდებით ბელარუსის მოქალაქეები დააკავეს!

**ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, განსაკუთრებით დიდი და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, ბელარუსის რესპუბლიკის მოქალაქეები: 2003 წელს დაბადებული ი.კ. და 2005 წელს დაბადებული ი.ვ. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში დააკავეს.**

უწყების ცნობით, სამართალდამცველებმა ბრალდებულების პირადი და დროებითი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, 100 შეკვრად დაფასოებული ნახევარ კილოგრამამდე გამომშრალი „მარიხუანა“ ნივთმტკიცებად ამოიღეს. დანაშაული 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# ბრძოლა ქურდული სამყაროს წინააღმდეგ

**შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ინტენსიურ რეჟიმში ჩატარებული საპოლიციო ღონისძიებების შედეგად, ე.წ. ქურდულ სამყაროსთან კავშირში მყოფი 63 პირი პასუხისგებაში მისცეს, დაკავებულია 49 პირი, ხოლო 14 პირი დაუსწრებლად იქნა პასუხისგებაში მიცემული, მათ შორის ხუთი ე.წ. კანონიერი ქურდია,** – ამის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ **ალექსანდრე დარახველიძემ** ბრიფინგზე განაცხადა. მისივე თქმით, პასუხისგებაში მიცემულებს ბრალად ედებათ ე.წ. ქურდული სამყაროს წევრობა, „ქურდულ შეკრებაში მონაწილეობა“, „ქურდული სამყაროს საქმიანობის მხარდაჭერა“, „კანონიერი ქურდობა“ და „ქურდული სამყაროს წევრისთვის მიმართვა“.

დაკავებულთა უმრავლესობა წარსულში სხვადასხვა მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვისაა ნასამართლევი. დგინდება, რომ ბრალდებულებისა და მოდავე მხარეების მონაწილეობით, სხვადასხვა დროს საქართველოში და საზღვარგარეთ ე.წ. ქურდული გარჩევები ეწყობოდა, რომლებშიც საზღვარგარეთ მყოფი „კანონიერი ქურდებიც“ მონაწილეობდნენ.

ბრალდებულები შეკრებებზე ე.წ. ქურდული ტრადიციების შესაბამისად, გადაწყვეტილებებს იღებდნენ, ერთ-ერთ მოდავე მხარეს მეორის, ასევე, თავიანთ სასარგებლოდ განსაზღვრულ დროში გარკვეული თანხის გადახდას აკისრებდნენ. იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ დაემორჩილებოდნენ მათ მითითებებს, სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ. ასევე, ემუქრებოდნენ ოჯახის წევრების სიცოცხლის მოსპობით.

პოლიციამ, ბრალდებულების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღო კომპიუტერული ტექნიკა და მობილური ტელეფონები, რომელთა საშუალებითაც ისინი ერთმანეთს და საზღვარგარეთ მყოფ „კანონიერ ქურდებს“ უკავშირდებოდნენ. გარდა ამისა, ჩხრეკის შედეგად, ამოღებულია ცეცხლსასროლი იარაღი. დანაშაული წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# უცხო ქვეყნის 43 მოქალაქე გააძევეს!



**შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, სამინისტროს შესაბამის დანაყოფებთან მჭიდრო კოორდინაციით, ბოლო დღეების განმავლობაში, უცხო ქვეყნის 43 მოქალაქე საქართველოდან გააძევეს,** – ინფორმაციას ამის შესახებ შსს ავრცელებს. უწყების ცნობით, აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს საქართველოდან გაძევებულ პირთა ჯამურმა მაჩვენებელმა 1200 პირი შეადგინა.

**„ ქვეყნიდან გაძევებულ იქნა: რუსეთის, ინდოეთის, ირანის, თურქეთის, თურქმენეთის, პაკისტანის, ეგვიპტის, აზერბაიჯანის, ბანგლადეშის, ეთიოპიის, იორდანიის და ტაჯიკეთის – ჯამში 43 მოქალაქე.**



# ახალგაზრდა მკითხველების დაჯილდოება...

**„გასულ კვირას საელჩოში ვუმასპინძლეთ საქართველოს საუკეთესო ახალგაზრდა მკითხველებს, რომლებმაც აშშ-ის საელჩოს კითხვის საზაფხულო გამოწვევაში გაიმარჯვეს“,** – ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოში აშშ-ის საელჩო ავრცელებს. მათივე ცნობით, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებული ამერიკული სივრცეების საშუალებით, წელს ამ გამოწვევაში 2 000-მდე ახალგაზრდა ჩაერთო.

# ტრამპმა ფენტალინი მასობრივი განადგურების იარაღად გამოაცხადა!



**აშშ-ის პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა ხელი მოაწერა აღმასრულებელ განკარგულებას, რომლითაც ნარკოტიკული ნივთიერება „ფენტანილი“ მასობრივი განადგურების იარაღად გამოაცხადა, რაც აშშ-ის ხელისუფლებას სინთეტიკური ნარკოტიკების გადაზიდვასთან საბრძოლველად დამატებით უფლებამოსილებას ანიჭებს.**

როგორც „პოლიტიკო“ წერს, ტრამპის განკარგულებაში ხაზგასმულია, რომ „ფენტანილი“ ყოველწლიურად ათობით ათასი ამერიკელს კლავს, ის ფაქტი კი, რომ ტრამპის ადმინისტრაციის მიერ ტერორისტულ ორგანიზაციებად გამოცხადებული ტრანსნაციონალური კრიმინალური დაჯგუფებები „ფენტალინით“ ვაჭრობის შედეგად მნიშვნელოვან შემოსავალს იღებენ, ძირს უთხრის აშშ-ის ეროვნულ ინტერესებს. ტრამპმა განაცხადა, რომ აშშ-ში საზღვაო გზით ნარკოტიკების იმპორტი 94%-ით შემცირდა და ამჟამად აკრძალული ნივთიერებები ქვეყანაში სახმელეთო გზით ხვდება, რაც ტრამპის თქმით, „აშშ-ისთვის სამხედრო საფრთხეს წარმოადგენს“.

# ნაძვის მოჭრაზე კონტროლი მკაცრდება!

**ახალი წლის სადღესასწაულო დღეების მოახლოების პარალელურად გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი სამსახურები წიწვოვანი მცენარეების მოპოვებასა და ტრანსპორტირებაზე კონტროლს ამკაცრებენ.**

ეროვნული სატყეო სააგენტო კიდევ ერთხელ მოუწოდებს მოსახლეობას, ნუ გაანადგურებენ ბუნებრივ სიმდიდრეს და გამოიყენონ ხელოვნური ნაძვის ხე.

**„წიწვოვნების უკანონოდ მოპოვებაზე, ტრანსპორტირებასა და რეალიზაციის წესის დარღვევაზე ჯარიმა პირველ ჯერზე 2000 ლარით განისაზღვრება, ხოლო გამეორების შემთხვევაში დგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ამავდროულად, დაანგარიშდება გარემოსთვის მიყენებული ზიანი. თუ ზიანის ოდენობა აჭარბებს 1000 ლარს, პირის მიმართ აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე – ჯარიმა/ან თავისუფლების აღკვეთა 1-დან 3 წლამდე, ხოლო დიდი ოდენობით წიწვოვანის უკანონო მოპოვების შემთხვევაში, თუ გარემოსთვის მიყენებული ზიანი აჭარბებს 3000 ლარს, სასჯელი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5-დან 7 წლამდე. ყოველ გამოვლენილ სამართალდარღვევაზე კანონმდებლობით განსაზღვრული სანქციები გატარდება“,** – აღნიშნა ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსმა **კახა ცერცვაძემ.**



წიწვოვანი ხე-მცენარეების კანონიერად მოპოვება შესაძლებელია სანერგეებში, პლანტაციებში, საკარმიდამო ნაკვეთებში, ასევე, იმპორტირება. კანონიერად მოპოვებული ხე-მცენარეების რეალიზაციის შემთხვევაში რეალიზატორმა უნდა წარმოადგინოს ხე-მცენარის კანონიერად ფლობის დამადასტურებელი სათანადო დოკუმენტი.



# ქართული გენია როკვით განფენილი...

**იტალიაში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე ქართველმა მოცეკვავეებმა რეკორდი მოხსნეს – 61 ოქროს მედალი დაიმსახურეს.**

**რეკორდი მოხსნილია!**

**მსოფლიო ჩემპიონატიდან ვბრუნდებით უდიდესი სიამაყით! ჩვენმა მოცეკვავეებმა საოცრად იასპარეზეს და აკადემიის ისტორიას კიდევ ერთი გამარჯვებული გვერდი შემატეს. შრომა, დისციპლინა და სიყვარული ცეკვისადმი, სწორედ ასე იბადებიან ჩემპიონები.**

**მადლობა ჩვენს მოცეკვავეებს, მწვრთნელებს და მხარდამჭერებს — ეს გამარჯვება ყველასია!**

**61 ოქრო**

**SOLO WORLD CHAMPIONSHIP**

**34 – ოქროს მედალი**

**16 – ვერცხლის მედალი**

**13 – ბრინჯაოს მედალი**

**NAPLES OPEN DANCE FESTIVAL**

**27 – ოქროს მედალი**

**11 – ვერცხლის მედალი**

**8 – ბრინჯაოს მედალი**

**უსაზღვროდ ვამაყობთ თქვენით!**

**თქვენი შრომა, ძალისხმევა და გამარჯვებები ჩვენი ყველაზე დიდი სიამაყეა!**

**თეა გოგეჯიშვილი,**
**ქორეოგრაფი.**

# რომელ მღვიმეებს მიენიჭება ბუნების ძეგლის სტატუსი?

**საქართველოს მთავრობამ პარლამენტს განსახილველად წარუდგინა კანონპროექტი „რაჭის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. საკანონმდებლო ინიციატივის მიღება განპირობებულია რაჭის დაცული ტერიტორიების შექმნის/გაფართოების შესაძლებლობის კვლევით მიღებული შედეგებით, რომელიც მთავრობის ინფორმაციით 2024 წელს საერთაშორისო პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.**

კანონპროექტი ითვალისწინებს რაჭის დაცული ტერიტორიების სისტემის გაფართოებას, მათ შორის:

**რაჭის ეროვნული პარკის გაფართოება** – ფართობი იზრდება 4,759 ჰექტარით ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

**ამბროლაურის დაცული ლანდშაფტის შექმნა** – ფართობი განისაზღვრება 50,240.4 ჰექტარით ამბროლაურის მუნიციპალიტეტში.

**კარსტული მღვიმეებისთვის ბუნების ძეგლის სტატუსის მინიჭება** – დაარსდება საკიშორის, შარეულას, უშოლთის, მურადის და კიდობანას მღვიმეების ბუნების ძეგლები, რომლებიც განლაგებულია ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტებში.

კანონპროექტის თანახმად, რაჭის ეროვნული პარკის გაფართოებული ნაწილისა და ბუნების ძეგლების მართვას განახორციელებს დაცული ტერიტორიების სააგენტოს რაჭის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია. აღსანიშნავია, რომ რაჭის ეროვნული პარკის ადმინისტრაციისთვის 2026 წელს საჭირო დამატებითი 214,860 ლარის ოდენობის დაფინანსება დონორი ორგანიზაციების მიერ სრულად იქნება უზრუნველყოფილი. კანონპროექტის განმარტებითი ბარათის თანახმად, ადმინისტრაციის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის 2026-2029 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ჯამში, დაახლოებით 1,947,043 ლარის გამოყოფაა საჭირო. კანონი ძალაში 2026 წლის 1 იანვრიდან შევა.

# აღნიშნეს ხრესილობა

**ხრესილის ომის 268-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული ლევან ზალკალიანი ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერთან დავით კუბლაშვილსა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო.** ღონისძიების ფარგლებში, გელათის მონასტერში დავით აღმაშენებლის, სოლომონ I-ის, სოლომონ II-ის საფლავები, ასევე, სოფელ ხრესილში, ხრესილის ბრძოლის მემორიალი ყვავილებით შეამკეს და პატივი მიაგეს.



# დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა რაოდენობამ 1 200 000-ს გადააჭარბა...

**დაცული ტერიტორიების სააგენტოს ინფორმაციით, დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა რაოდენობამ 1 200 000-ს გადააჭარბა, რაც რეკორდულ მაჩვენებელს წარმოადგენს. აღნიშნული ეკოტურიზმის განვითარების მიმართულებით განხორციელებული თანმიმდევრული ნაბიჯების შედეგია.**

დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარის **ბესიკ ამირანაშვილის** განცხადებით, სააგენტოს ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ეკოტურიზმის განვითარებაა, რის ფარგლებშიც შესაბამისი ინფრასტრუქტურა აქტიურად ვითარდება. მიმდინარე წელს თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე მოეწყო საპიკნიკე სივრცეები, ვიზიტორთა ცენტრები და საპარკინგე ინფრასტრუქტურა, რაც ვიზიტორებს უფრო კომფორტულ გარემოს სთავაზობს.

მისივე განცხადებით, მომავალშიც გაგრძელდება ეკოტურიზმის განვითარება. სააგენტო გეგმავს 6 ახალი დაცული ტერიტორიის დაარსებას, სადაც სამომავლოდ მცირე ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა მოეწყობა. ეს შესაძლებლობას მისცემს ქვეყანას, მოახდინოს ტურისტული სერვისების და ნაკადების დივერსიფიცირება და კიდევ უფრო გააძლიეროს დაცული ტერიტორიების ტურისტული პოტენციალი.




საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და
მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი.**

პიარისა და
მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული
ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოღებულ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
**„კოლორში“**
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
C—323

2 009882 689431

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 19 დეკემბერს**